გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N12 (9192) 28 აპრილი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი




## დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

„აღსდეგინ ღმერთი, და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი" ...

12 საუფლო დღესასწაულთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, მკვდრეთით აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, წელს მაისის პირველივე დღეს აღინიშნება. მკვდრეთით აღდგომით ქრისტემ ადამიანები პირველყოფილი ცოდვისაგან იხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო მათთვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა, გოლგოთაზე კაცობრიობის ცოდვებით დამძიმებული ჯვარი ზიდა.

„მასწავლე უფალო შენს წინაშე ლოცვა..." ასე გაბრიელ ბერი ლოცულობდა! და კიდევ: „ერში იკარგება მონასტრის მადლი"... „ერთ ბერს ერთი სეფისკვერი უნდა ჰქონდა ეყოს"... ეს მისი სწავლებანია, სადაც მონასტერი ქვეყანასაც ნიშნავს, ბერი კი – ყოველ მოკვდავს.

გილოცავთ აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი...

## ოპოზიციამ რიგგარეშე სხდომა დატოვა

3

## 3 მაისი პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეა!

## ჩვენ ვამბობთ სიმართლეს!

5



საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობით მუნიციპალიტეტის გამგებელი ინტერესდება

## „იქ ბიძინას ებრძვიან, აქ – ილოს!"

5

## „ჩერნობილელები" ხელისუფლებისგან მეტ ყურადღებას იმსახურებენ

3



## „თითოეული ჩვენგანი, რაღაც თვალსაზრისით, წიგნების ჯაში ვართ"



6

## 2 მაისი მიცვალებულთა ხსენების დღეა!

# საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობით მუნიციპალიტეტის გამგებელი ინტერესდება





ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი კარგა ხანია, კაბინეტიდან მინდვრებში გავიდა, ხვნის პროცესს თვალი რომ ადევნოს. შეიძლება ითქვას, პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს და თუ ამინდებმა ხელი არ შეუშალა, ჩვენს მუნიციპალიტეტში ხვნის დასრულების თარიღად აპრილის ბოლო სახელდება. სოფელ დაფნარის ტერიტორიაზე ვიმყოფებით, სადაც სავარგულებს წლებია სოფელ ოფეთის მოსახლეობა ფლობს, საკითხში უფრო კომპეტენტური მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ოფეთის თემში, თემურ ჩხაიძეა. მისი თქმით, ისევე, როგორც წინათ, ოფეთის თემის მოსახლეობა ახლაც ფლობს სავარგულებს. მეოთხე წელია, რაც სახელმწიფო მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო ბარათებს ურიგებს, რაც დიდი შვებაა მათთვის. ''წლევანდელ წელსაც ვეტევით აგროვადებში, ჩვენი სოფლის მოსახლეობა მექანიზატორებს მადლობას უხდის, 2 დღის განმავლობაში სრულყოფილად მოიხვნება 60 ჰექტარი, თითოეულ მოსახლეზე საშუალოდ 5-6 ათასი კვადრატული მეტრი მიწაა, სადაც სიმინდი, ლობიო და სოიოს კულტურები მოჰყავთ. სოფლის მიწები, მოგეხსენებათ, მწირია, იქ მხოლოდ ბაღჩეული მოგვყავს''. _ გვეუბნება ბატონი თემური.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას თქმით, არც მექანიზატორებთან აქვთ პრეტენზია და არც მოსახლეობასთან: ''ოფეთი მცირემიწიანი მთაგორიანი სოფელია, ამიტომაც მათ დაფნარში აქვთ გამოყოფილი სავარგულები, თუ ამინდებმა ხელი არ შეუშალა, აგროვადებში ჩავეტევით. პრობლემას ის გვიქმნის, რომ მოსახლეობა უკან აბრუნებს ბარათებს იმიტომ, რომ ახლა საწვავი იაფია და უფრო ნაკლებ ფასად ქირაობენ კერძო ტრაქტორებს. ამჯერად აქ ადგილობრივი შპს ''მექანიზატორის'' (კოტე ნაცვლიშვილი) ტრაქტორები მუშაობენ, ქართლსა და კახეთში ადრე დაიხვნა მიწები და მერე ჩვენთან ჩამოვიდნენ დასახმარებლად. ამჯერად დღეს ჩვენი მექანიზაციის ბრიგადა მუშაობს. დღეის მდგომარეობთ ნახევარზე მეტი ფართობები ჩვენს მუნიციპალიტეტში მოხნულია. ძირითადად იხვნება რიონის სანაპიროები, მერე ღანირის, ნაბაკევის და მელაურის თემის სავარგულები მოიხვნება. ინტენსიურად ვაკვირდებით ხვნის პროცესს''. _ აცხადებს ვალერიანე ფოცხვერია.

ნუგზარ ჯამბურია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: ''ამინდიც ხელს გვიწყობს და ეს კარგია, აგროვადებში ვეტევით. დარწმუნებული ვარ, მოსალხეობა კმაყოფილია იმით, რომ მეოთხე წელია, ხვნის პროცესში სახელმწიფო გვეხმარება''.

# რძე უვნებელი და ხარისხიანი რომ იყოს

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 29 მარტს რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილება მიიღო.

ეს უკანასკნელი გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას. საკუთრებაში არსებული ფურების რაოდენობა არანაკლებ 150 სულს უნდა შეადგენდეს და მიწის ფართი, რომელზეც განთავსდება რძის გადამმუშავებელი ხაზი, უნდა იყოს კოოპერატივის საკუთრება. პროგრამა მოიცავს როგორც კაპიტალურ ინვესტირებას, ასევე, ტექნიკურ დახმარებას.



საქართველოს მთავრობის დადგენილების ელექტრონული ვერსია სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა 2 აპრილს მიიღო. დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები, რომელსაც საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური დაინტერესებულ პირებს გადასცემს.

თანამედროვე ტექნოლოგიები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეცემათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ მოთხოვნილ პირობებს და ჩაერთვებიან ზემოაღნიშნულ პროგრამაში.

კაპიტალური და ტექნიკური დახმარება ჯამში საშუალოდ 90 000 ლარს შეადგენს. ''სამტრედიის მაცნე'' დაუკავშირდა მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს. მამუკა კვანტალიანი პროგრამის ირგვლივ ვრცელ განმარტებას აკეთებს:

''აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს კოოპერატივებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი რძის მიმღები, გადამმუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბებაში. ეს უზრუნველყოფს რძის გადამმუშავებელი ინდუსტრიასა და მოსახლეობის ნედლი რძით უზრუნველყოფას. და ასევე, არსებული მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. კონკრეტულად კი, ადგილზე ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების დანერგვას. პროგრამის ამოცანაა, ნედლი რძის ხარისხის კონტროლი, ასევე, უვნებელი და ხარისხიანი რძისა და რძის ნაწარმის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მოთხოვნებთან დაახლოებას.

რძის წარმოების აღჭურვილობაში შედის 14 დასახელების ხელსაწყო:

1. გამაცივებელი რეზერვუარი (1000 ლიტრი) _ 1;
2. გამაცივებელი რეზერვუარი (500 ლირტი) _ 1;
3. რძის პომპა _ 1;
4. გენერატორი (10 კვტ.) _ 1;
5. წყლის რეზერვუარი (1.5 ტონა) _1;
6. ცხელი წყლის რეცხვის ავტომატი _ 1;
7. წყლის გამაცხელებელი (200 ლიტრი) _ 1;
8. ძაბრი (მეტალის) _ 1;
9. ელექტროსასწორი _ 1;
10. ყველის სახარში აბაზანა (500 ლიტრი) _ 1;
11. უჟანგავი ფოლადის სამუშაო მაგიდა (2000X800X850მმ) _ 1;
12. საწნეხი ურიკა _ 1;
13. ლაქტოსკანი _ 1;
14. PH-მეტრი _ 1.

ასევე ხელოვნური განყოფილებებისთვის საჭირო აუცილებელი 8 სახის ხელსაწყო:

1. დიუარის ჭურჭელი 20 კგ.
(აზოტის შესანახად) _ 1;
2. დიუარის ჭურჭელი 11 კგ. _ 1;
3. ახურების განმსაზღვრელი დანადგარი _ 1;
4. ხელოვნური განაყოფიერების ხელსაწყოები _ 1;
5. რეზინის წინსაფარი _ 1;
6. სპეცტანსაცმელი _ 1;
7. ნიტროგენის დონის მზომი სახაზავი _ 1;
8. ცოცხალი მასის განმსაზღვრელი ლენტა _ 1.

დღეის მდგომარეობით, რძის წარმოების დარგში სამტრედიის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი მოქმედი, სტატუსიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივაა _ რ/კ ''გომი'', რომელიც 2014 წელს შეიქმნა და მისი თავმჯდომარე გახლავთ ნუგზარ ნიკოლეიშვილი. მიიღებს თუ არა ბატონი ნუგზარი პროგრამაში მონაწილეობას, ეს უკვე მისი გადასაწყვეტია. დარეგისტრირების ვადა კი მაისის ბოლომდე განისაზღვრა.

ნინო ნანიტაშვილი

# მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო

მუნიციპალიტეტში რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით მოსამზადებელი სამუშაოები 25 აპრილს დაიწყო. კერძოდ, თავისუფლებისა და ლეონიძის ქუჩებზე გრეიდერით მოხდა გზის დამუშავება-გასწორება. აღნიშნულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ''ინდიკო'' აწარმოებს (დირექტორი მანანა გვასალია). ეს უკანასკნელი პარალელურ რეჟიმში მსოფლიო ბანკის პროგრამით ქუთაისი-ხონი-სამტრედიის საავტომობილო მაგისტრალის ასფალტბეტონის მეორე ფენის სამუშაოებს ახორციელებს, რომელიც უკვე დამთავრების სტადიაშია.

ზურაბ გოგია, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი:

''წინა მოსამზადებელი სამუშაოების ხანგრძლივობა ტენდერში ჩადებული პირობის თანახმად არის 2 თვე. ამ პერიოდში ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ყველა სახის სამუშაო უნდა დაასრულოს. რეგიონალური განვითარების ფონდიდან 2016 წელში ასანაზღაურებელი თანხაა 2 494 574 ლარი.

ტენდერის შედეგად 2 409 050 ლარის სამუშაოებია შესასრულებელი, რომელიც ივნისში უნდა დასრულდეს''.

ნინო ნანიტაშვილი

# თანხმა ვარ... მიჩივლონ!

ნინო ნანიტაშვილი

''სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ჯამბურიას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს და პარტია ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს'' თავმჯდომარეს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის, აზა მელქაძის წარმომადგენლის, გურამ ლეთოდიანის საჩივარი დაზომბირებული ქალბატონი ნორა იანიკოვის და ბატონი სერგო კოპალეიშვილის უგზოუკვლოდ ბოდიალიზმის თაობაზე'' _ ასე იწყება საჩივარი, რომლითაც სამტრედიაში რაზმაძის ქუჩის № 12-ში მცხოვრები გურამ ლეთოდიანი ზემოჩამოთვლილ პირებს მიმართავს და შეურაცხმყოფელ ეპითეტებს საჩივრის ტექსტში არც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის და სხვათა მიმართ იშურებს. საჩივარი ბიუროს წევრებს სხდომის დაწყებამდე შესწავლილი ჰქონდათ და თითქმის ყველა მათგანს გააჩნდა პროტესტი ავტორის მიმართ. ბიუროს სხდომის ბოლოს ითქვა კიდეც, რომ მსგავსი შინაარსის მომართვები რეაგირების გარეშე არ უნდა იქნეს დატოვებული.

წინასწარი შეტყობინების მიუხედავად, ბიურო 26 აპრილს 11 საათზე ჩატარდებოდა, გურამ ლეთოდიანი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამ დროს არ გამოცხადებულა. ბიუროს წევრების მხრიდან იყო მოლოდინი, მე-11 საკითხის განხილვას აზა მელქაძის წარმომადგენელი, გურამ ლეთოდიანი დაესწრებოდა.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ბატონმა გურამმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 მარტს საჩივრით მიმართა, რომელიც 30 მარტს იურიდიულ კომისიას დაეწერა, რომელიც მალევე კომისიურად იქნა განხილული, რის შემდეგაც ერთხმად გადაწყდა, საჩივარი განსახილველად ბიუროს სხდომაზე გასულიყო.

26 აპრილს ზემოაღნიშნული საჩივარი ბოლო საკითხად იქნა განხილული. მომხსენებელი გახლდათ კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე. მან ბიუროს წინაშე განცხადება გააკეთა: ''როგორც ბიუროს და საკრებულოს წევრებისთვის არის ცნობილი, გურამ ლეთოდიანის მხრიდან ეს არ გახლავთ პირველი ადმინისტრაციული საჩივარი, ვიმედოვნებ, რომ არც უკანასკნელი. ვამახვილებ თქვენს ყურადღებას: ეს არის საჩივარი, რომელიც ერთი და იგივე მოთხოვნით არაერთგზის დაუყენებია ბატონ გურამს. არაერთხელ მიუღია საკრებულოს გადაწყვეტილება აზა მელქაძის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ბატონ გურამს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საკრებულოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებით, რასაც იგი არასოდეს აკეთებს, ვინაიდან შესანიშნავად იცის მოსალოდნელი შედეგი. უბრალოდ, სასამართლო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, რადგან უკვე ერთხელ სასამართლოს სამივე ინსტანციას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და სასამართლო ერთი და იგივე დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით წარმოებაში არ მიიღებს. ამდენად, გურამ ლეთოდიანის ყოველი საჩივარი საკრებულოს მხრიდან, განწირულია უარის სათქმელად''. ბიუროს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ კომისიის გადაწყვეტილებას ''აზა მელქაძის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ''.

26 აპრილის სხდომაზე ბიუროს წევრებმა გააპროტესტეს ბატონი გურამის არაკორექტურული ტონი საკრებულოს თავმჯდომარის, აპარატის კომისიის თავმჯდომარის მისამართით, სადაც თითოეულ მათგანს ავტორი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებს.



გურამ ლეთოდიანი, რომელიც წინა დღით ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქციას დაუკავშირდა და ბიუროზე ჟურნალისტის დასწრება ითხოვა, 26 აპრილს მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავად არ გამოცხადებულა. არ დასწრების მიზეზს ბატონი გურამი შემდეგნაირად ხსნის. ''სხდომას იმიტომ არ დავესწარი, რომ საკითხი, რომელიც ბიუროზე იხილებოდა, ჯერ ერთი, კომისიაზე იყო განხილული და შემდეგ, საკითხი იყო არასწორად დასმული.

ადმინისტრაციული საკითხი უნდა განხილულიყო ზოგადი ადმინისტრაციული წესით იმდენად, რამდენადაც საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული არ არის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა. და პლუს ამას, განხილვა უნდა მოხდეს ზეპირი წესით. ადმინისტრაციული წესით განხილვის დროს პარტიის, ფრაქციის წევრობას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, იქ საკითხი ადმინისტრაციული წესით იყოს განხილული სამართლებრივად და არა პარტიული კუთხით. ესენი კი ბიუროზე მსჯელობენ პარტიული კუთხით. რეგლამენტით დადგენილი არ არის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი. ადმინისტარციულ ორგანოდ ჩათვლილი არის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგეობა, თვით მუნიციპალიტეტი. ამდენად, არ ჩავთვალე საჭიროდ მივსულიყავი იმ სხდომაზე, სადაც ადმინისტრაციული საჩივარი კი არ განიხილებოდა, არამედ განიხილებოდა ჩემი საჩივარი ნუგზარ ჯამბურიას და ნორა იანიკოვის მიმართ. გავიგე, რომ ბიუროზე თქმულა ჩემს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი აღძრან. თანახმა ვარ, როდესაც და რა დროსაც უნდათ მიჩივლონ''.



''სამტრედიის მაცნეს'' მკითხველს კი შევახსენებთ, რომ 2010 წლიდან აზა მელქაძის წარმომადგენელი გურამ ლეთოდიანი 2010 წლიდან ითხოვს ააიპ ''სკოლამდელი ბაგა-ბაღების აღზრდის გაერთიანების'' ლიკვიდაციას და ბაგა-ბაღების ცალკე ააიპ-ებად მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გადასვლას.

# ოპოზიციამ რიგგარეშე სხდომა დატოვა

ნინო ნანიტაშვილი

ხმაური იყო 27 აპრილს საკრებულოს სხდომაზე _ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" 4-მა წევრმა: მამუკა ბიბილეიშვილმა, ავთანდილ თადუმაძემ, დავით ნიკოლეიშვილმა და ზურაბ ზაქარიაძემ მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დემონსტრაციულად დატოვეს. მანამდე კი ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მამუკა ბიბილეიშვილმა განცხადების გაკეთებაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისგან უარი მიიღო. ნუგზარ ჯამბურიას მხარეს უმრავლესობა აღმოჩნდა. საკრებულოს თავმჯდომარემ ოპოზიციონერ დეპუტატს რეგლამენტის დაცვა და განცხადების გაკეთება მე-19 საკითხად შესთავაზა. მამუკა ბიბილეიშვილმა რეგლამენტს არ დაემორჩილა და რისი თქმაც სურდა, დარბაზის დატოვებამდე მაინც მოახერხა: "ვაზისუბანში 9 ადამიანი შიმშილობს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობა მათი ბედით არც კი დაინტერესებულა. შიმშილობის აქცია ხალხის სიცოცხლეს ეხება, თქვენგან კი რეაგირება არ გაკეთებულა. პირიქით, მოსახლეობას იგნორირებას უკეთებთ. გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ აქციის მონაწილეებს".

დავასწრებ მოვლენებს და "სამტრედიის მაცნეს" მკითხველს ოპოზიციის განცხადების საპასუხოდ აქვე შევთავაზებ იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის განმარტებას, რომელიც მან რეგლამენტის მიხედვით რიგგარეშე სხდომის ბოლოს, მე-19 საკითხად გააკეთა: "როგორც ყოველთვის, მამუკა ბიბილეიშვილის მოთხოვნა, ვადებზე ადრე გამეკეთებინა განცხადება, გამიზნული იყო, რომ სხდომა ჩაშლილიყო. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ მოითხოვა თავმჯდომარემ, ბიბილეიშვილს დაეცვა რეგლამენტი, რაც კანონიერი გახლდათ. ვთვლი, რომ ბიბილეიშვილის განცხადება არის დემაგოგიური და რეალობაზე არ არის დაფუძნებული. მე ვეკითხები "ნაცმოძრაობას", როცა გვთხოვენ მხარი დავუჭიროთ მოსახლეობას, რას გვთავაზობენ, კარვებში დავსხდეთ მოშიმშილეებთან ერთად? საკრებულოს მხრიდან ვაზისუბანს ყურადღება ნამდვილად არ აკლია. არც მუნიციპალიტეტის გამგეობისგან არაერთხელ გახლდით შემთხვევის ადგილზე და არაერთი განმარტება მივეცი მოსახლეობას. იყო ჩვენი მხრიდან თხოვნა, აქციის მონაწილეებს შიმშილობა შეეწყვიტათ, რათა მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ შექმნოდათ. ყველაფერს დავარქვათ სახელი, ეს მოძრაობა "ნაციონალებისაგან" არის ანგაჟირებული. მოშიმშილე 7 კაცისგან 5 "ნაციონალური მოძრაობის" წევრია და როგორც გაირკვა, არავაზისუბნელი. როგორც იურისტს, მაშფოთებს ის ფაქტი, რომ 600 ხელმოწერიდან ჯერჯერობით რაც დავაზუსტეთ, 16 ყალბია. გარდა ამისა, 4 ხელმომწერი უნარშეზღუდულია, რომელიც ხელისმოწერას ვერ შეძლებდა, ხოლო 8 ფიზიკურად სოფელში არ იმყოფება. ასე რომ, ყველაფერი ერთად აღებული კიდევ უფრო მეტად მიმძაფრებს განცდას, რომ ვაზისუბნის აქცია "ნაციონალების" ხელდადებითაა".

27 აპრილის რიგგარეშე სხდომამ ოპოზიციის გარეშე მშვიდად ჩაიარა. ძირითადად განხილული იყო ინფრასტრუქტურული საკითხები, მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდაზე, გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აუქციონის წესით იჯარის ფორმით მოსახლეობის სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

საკრებულომ ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში კერძოდ, შიდა აუდიტის სამსახური ლიკვიდირებულ იქნა, დარჩა მხოლოდ მისი შემადგენელი ორი განყოფილება, რომელიც გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურს დაექვემდებარა. ასევე შეიქმნა კოორდინაციის განყოფილება გამგეობის ადმინისტაციული სამსახურის დაქვემდებარებაში.

რიგგარეშე საკრებულოს სხდომაზე ვაზისუბნის მოშიმშილეებს მხარი ავთანდილ სტურუამაც აქტიურად დაუჭირა: "ჩემი პოზიცია უცვლელია. ვამბობდი და ვამბობ, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ სოფელ ვაზისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ხევისწყალის კალაპოტში კარიერის მოწყობის. არის დიდი რისკი, რომ ინერტული მასალის ამოღებამ ნაპირის ჩამოშლა-დანგრევა გამოიწვიოს. ვაპირებ, ოფიციალურად მივმართო გარემოს დაცვის სამინისტროს და მოვთხოვო მათგან ეკოლოგიური დასკვნა".

სხვადასხვაში ავთანდილ სტურუამ საკრებულოს წინაშე მოთხოვნით კიდევ ერთი განცხადება გააკეთა ახალსოფლის ტერიტორიაზე მდინარე რიონზე არსებულ ბორანთან დაკავშირებით: "ვინაიდან ბორანს პრობლემები ექმნება ყოველწლიურად, საჭიროა, მარტივი ნაპირსამაგრის გაკეთება და მექანიკური ბორნის ავტომატურად გადაკეთება, ან მდინარე რიონის იმ მონაკვეთზე ცალმხრივი საავტომობილო ხიდის აშენება".







# "ჩერნობილელები" ხელისუფლებისგან მეტ ყურადღებას იმსახურებენ

ნინო ნანიტაშვილი

56 წლის კონსტანტინე იმნაძეს ყოველი წლის 26 აპრილის მოახლოებასთან ერთად ის განცდები უმძაფრდება, რაც მან და კიდევ 45-მა სამტრედიელმა საკუთარ თავზე იწვნია. 1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ქალაქ ჩერნობილში ატომური ელექტროსადგურის აფეთქებას 26 წლის ახალგაზრდა ინჟინერი ბელგოროდში, მეტალკონსტრუქციების ქარხანაში მუშაობისას შეესწრო. კომისარიატმა "ზბორებზე" გააგზავნა და ორი თვე, როგორც თადარიგის ოფიცერი, ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებით დაკავდა. დადიოდა ზონაში, დაჰყავდა 30 კაცი თავისი ტექნიკით, ანგრევდა დამწვარ შენობა-ნაგებობებს და ქვიშაში მარხავდა.

განათლებულ და გონიერ ახალგაზრდა კაცს მაშინ წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რა მასშტაბის ტრაგედიასთან ჰქონდათ საქმე და როგორი მავნებლობით შეიძლებოდა ასახულიყო იგი სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართული ადამიანების ჯანმრთელობაზე.



კონსტანტინე იმნაძე 30 წელია შიშით ცხოვრობს, რომ ოდესღაც ეს რადიაცია თავს მასშიც იჩენს: "ჯერჯერობით ფეხზე ვდგავარ, მაგრამ არ ვიცი, როდის იფეთქებს ჩემს სხეულში 30 წლის წინ მიღებული დასხივების შედეგი. იმ დღეებში ჩემს გვერდით მომუშავე ბევრი ადამიანი დაავადდა, ბევრი უკვე ცოცხალიც აღარ არის. 1986 წლის 26 აპრილს კაცობრიობის ისტორიაში ტრაგედია მოხდა, რომლის მწარე ნაყოფს დღემდე ვიმკით".

კონსტანტინე იმნაძე სპს "კონსტანტინე ლეკვეიშვილის" მთავარი ბუღალტერია. ჩერნობილის პენსიას ღებულობს და საჯარო სამსახურისაკენ არ იხედება, პენსია რომ არ წაართვან. როგორც "ჩერნობილელი", სპეციალურ პროგრამაშია ჩართული და წელიწადში ერთხელ ფულად დახმარებას იღებს. 26 აპრილთან დაკავშირებით მის ანგარიშზე 100 ლარი წელსაც ჩაირიცხა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოწვევით ადმინისტრაციულ შენობაში ისიც გამოცხადდა და აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოვიდა. 3 თაბახის ფურცელი იმ მძიმე და ტკივილიანი წარსულის გახსენებაა, 1986 წლის 26 აპრილს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ექსპერიმენტს რომ უკავშირდება. "რაც მეტი დრო გადის ჩერნობილის ტრაგედიიდან, უფრო ბევრი შემზარავი ფაქტი ხდება ცნობილი, _ მიმართა დარბაზს კონსტანტინე იმნაძემ და იქვე დასძინა, _ აქ იმყოფებიან ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი დაცვითი საშუალებების გარეშე მუშაობდნენ აფეთქებულ რეაქტორზე, რომ თავიანთი მოვალეობები შეესრულებინათ და დაეცვათ მილიონობით ადამიანი რადიაციული სიკვდილისაგან. არაერთი ხელისუფლება გამოვიცვალეთ, მაგრამ ვნახეთ, არც ერთ მათგანს არა აქვს გააზრებული იმ უბედურების მასშტაბები, რომლის წინაშეც კაცობრიობა იდგა. ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ჩვენ არ ვახსოვართ ხელისუფლებას".

ასეთი რადიკალური შეფასებისას კონსტანტინე იმნაძე ადგილობრივი ხელისუფლების ბრალეულობას ნაკლებად ხედავს. მისი კრიტიკის ობიექტები ძირითადად ცენტრალური ხელისუფლება და პარლამენტია, რომელთაც არ გააჩნიათ კანონი ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციის მონაწილეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ: "ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნაკლებ პრეტენზიულები ვართ. ვთვლით, რომ ისინი შესაძლებლობის ფარგლებში "ჩერნობილელების" მიმართ უყურადღებონი არ არიან. მადლობა იმისთვის, რომ სამტრედიის გამგეობა-საკრებულოს ვახსოვართ და დღევანდელი დღე დაგვითმეს".



ჩერნობილში მიღებული დასხივების შედეგად ჯანმრთელობა თითქმის აღარ გააჩნია 57 წლის ევგენია ბუსუიუკს. იგი 46 ადამიანს შორის ერთადერთი ქალია. 30 წლის წინ იგი რკინიგზის ობიექტიდან ჩერნობილში გაიწვიეს, სამი თვის ნაცვლად 4 თვე დატოვეს. 27 წლის ქალი პირდაპირ რეაქტორთან მშენებლობაზე მუშაობდა. იმ დონის დასხივება მიიღო, რომ 30 წლის შემდეგაც, მთელ ზაფხულს სხეული იმდენად აქვს გადახურებული რომ მთელი ეს პერიოდი შვილები შიშით სიახლოვეს ვერ ეკარებიან, რადგან ქალბატონი ევგენია დენს გამოჰყოფს.

4 ინფარქტი გადაიტანა, ერთ-ერთის ფონზე ნაღველიც ამოუღეს, სამი სტენდი ჩაუდგეს, ბოლოს შუნტირებაც დასჭირდა. ამჟამად გულის მხარეს წყალი ჩაუდგა.

აქამდე სოციალური შემწეობა გააჩნდა და ოპერაციებს სახელმწიფო უფინანსებდა. 8 თვეა გაურკვეველ სიტუაციაში სოციალური შემწეობა მოეხსნა. აღმაშენებლის ქუჩის 40 ნომერში უმუშევარ შვილთან და არასრულწლოვან შვილიშვილთან ერთად გაუსაძლის გაჭირვებაში ცხოვრობს, სიკეთის ხელს ახლობლები უწვდიან. უმუშევარი ქალიშვილი, ია ჭანტურია ამბობს, რომ სამუშაო რომც ჰქონდეს, ამდენი დაავადების მქონე დედას მარტო ვერ დატოვებს: "ხელით დაჰყავს, მარტო ოთახიდან ოთახში გადაადგილება უჭირს. დიაბეტიკია, დღეში 2 ინსულინზე იყო და ახლა უკვე 4 სჭირდება. არაფერი გაგვაჩნია კედლების გარდა, არც მიწის ნაკვეთი. წარმოიდგინეთ, პენსიასაც არ უნიშნავენ. ასაკობრივ პენსიამდე სამი წელი უკლია. ნეტავ, ყურადღება არ უნდა მიაქციონ იმას, რომ დედა სამტრედიიდან ჩერნობილში წასულთა შორის ერთადერთი ქალია, რომელიც სალიკვიდაციო სამუშაოებს მამაკაცებთან ერთად ეწეოდა".

26 აპრილს, ქალბატონი ევგენია სოციალური სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა დარეჯან ქავთარიამ გაგვაცნო. მისი მძიმე ისტორია ჩვენთან ერთად მოისმინა და დაჰპირდა, რომ მედიკამენტებისთვის საჭირო თანხით დაეხმარებოდნენ. პროგრამა, რომელიც ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებზე ერთჯერადი დახმარების გაცემას უზრუნველყოფს, იმ ოჯახებზეც ვრცელდება, რომლებმაც ავარიის შედეგად ახლობლები დაჰკარგეს.

1986 წლის 26 აპრილს სამტრედიელი გია შენგელია საბჭოთა ჯარში მსახურობდა. როგორც თავად უამბობდა ოჯახის წევრებს, თურმე პირდაპირ რეაქტორზე "უკრეს თავი", სადაც მან დასხივება მიიღო შემდეგ პრობლემები გასჩენია ღვიძლზე. "ჩერნობილელებთან" შეხვედრაზე გია შენგელიას მეუღლე, მარინა ყენია მოვიდა: "გია ჩერნობილიდან დაავადებული დაბრუნდა, ჯერ თმები გასცვივდა, დროდადრო ყურებზე კანი უსკდებოდა და იქიდან ლიმფური სითხე სდიოდა. ბოლოს ინფარქტი განუვითარდა და დაიღუპა. დღევანდელი დღისთვის მადლობას ვუხდით სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას, სოციალურ სამსახურს. ჩვენ უმნიშვნელო ყურადღებაც კი გვახარებს".

"სამტრედიის მაცნეს" გარდაცვლილი მამის შესახებ იმ დღეს ნათია ლეკვეიშვილმაც უამბო: "მამა კარტოგრაფიისა და გეოდეზიის სამმართველოში მუშაობდა. მოხდა მისი გამოძახება და ჩერნობილში სასწრაფოდ წაიყვანეს. 2 თვის განმავლობაში ასრულებდა სალიკვიდაციო სამუშაოებს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მამას უკვე ბევრი რამ აწუხებდა. ბოლოს კი 48 წლის ასაკში ტრომბით გარდაიცვალა. ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მეც მადლობის მეტი რა მეთქმის. რამდენიმე წელია, ერთჯერად დახმარებას ჩვენი ოჯახიც იღებს".

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და 30 წლის წინანდელი ტრაგედია გაიხსენა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

ვალერიანე ფოცხვერიამ ხელისუფლების მიმართ გამოთქმულ გარკვეულ სამდურავს სამართლიანი უწოდა და მათ მომავალშიც აღუთქვა მხარდაჭერა: "30 წელი გავიდა ჩერნობილის ტრაგედიიდან. დღეს კიდევ ერთხელ გადავშალეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაფიქსირებული ეს საშინელი ფურცელი. ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ მოვეფერეთ სამტრედიაში მცხოვრებ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩერნობილის ტრაგედიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობდნენ. ცოტაოდენი მატერიალური დახმარება გავუწიეთ. მინდა გითხრათ, რომ ეს არის მიზერული მხარდაჭერა, რასაც ისინი ხელისუფლებისაგან იმსახურებენ. ჩერნობილელები გმირები არიან არა მარტო ჩვენი ქვეყნის, მაშინ მათ მსოფლიო გადაარჩინეს. გაცილებით მეტი მსხვერპლი იქნებოდა, რომ არა ეს ადამიანები. ჩერნობილმა ბევრი ადამიანი შეიწირა, ნაწილი დაბრუნების შემდეგ დაავადდა. ხელისუფლების ვალია, პატივი ვცეთ და ყურადღება მაინც გამოვხატოთ, თუ რაიმე სერიოზული არ გაკეთდება. დღეს ამ შეხვედრაზე რამდენიმე გამომსვლელმა გულისტკივილი გამოხატა. ისინი არიან მართლები, მე ვეთანხმები მათ, ხელისუფლებისაგან მეტ ყურადღებას იმსახურებენ".

"ჩერნობილელებისთვის" კულტურის სამსახურის ორგანიზებით კონცერტი გაიმართა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრის ბოლოს "ჩერნობილელებთან" სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

# ქრისტეს აღდგომა ჩვენი სარწმუნოების ქვაკუთხედია

*"ზამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო, გვედრი, შემიწყალე, ძეო დავითისო!"*
ზ. გამსახურდია

ღვთის არსებობა მრავალი სახითაა განცხადებული სამყაროში, ისევე როგორც შემოქმედი თავის შემოქმედებაში, სადაც ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული და კანონთა კანონზომიერებაშია განწონილი, რომელსაც, თავის მხრივ კანონმდებელი სჭირდება. კანონმდებელი გონიერი არსებაა და ყოველივე გონებით შექმნილს, ადამიანიც გონითვე აღიქვამს, შეიმეცნებს მის კანონზომიერებას, სწავლობს და ასკვნის, რომ სამყაროში ამა თუ იმ კანონის პრინციპით მოქმედებს.

მართლმადიდებელი ადამიანის თვალსაწიერი აქმვეყნიურ, მიწიერ საზღვრებს სცილდება და დროში მარადისობას ჭვრეტს. მისი სულიერი ხედვა სამყაროს არსებობას მის ერთ მთლიანობაში განიხილავს, ანუ პერიოდს ქვეყნიერების შექმნიდან ვიდრე მეორედ მოსვლამდე და მის შემდგომ _ მარადიულ ცხოვრებასაც.

ჭეშმარიტი მორწმუნისათვის, ხილულ სამყაროსთან ერთად, პარალელურად, უხილავი სულიერი სამყაროც მყოფობს და ის ეკლესიური ცხოვრებით ორივე სამყაროს რეალიების თანაზიარი ხდება "მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა".

მთელი წმინდა წერილი ქრისტოცენტრულია, ძველი და ახალი აღთქმა ორ, ერთმანეთში ჩასმულ წრეს შეიძლება შევადაროთ. ქრისტე ძველი აღთქმის ცენტრია, რომლისკენაც წინასწარმეტყველთა გამოცხადებასა და ტაძრის პირველსახეებს მივყავართ და ქრისტეა ახალი აღთქმის ცენტრიც, რომლისგანაც მზის სხივებივით გამოდის სახარების მარადიული ნათელი და ღვთაებრივი ძალა მადლისა...

მორწმუნე ადამიანის ცნობიერება მკვეთრად განსხვავდება ურწმუნო ადამიანის მსოფლაღქმისგან და შეხედულებებისაგან, მაგრამ მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულს თითოეული მორწმუნეც და ურწმუნოც თავისებურად აღნიშნავს. ეს დღე სხვაგვარად თენდება, საყოველთაო სიხარულითაა გაერთიანებული ზოგნი ნამარხულევნი ღამისთევის ლოცვით ეგებებიან აღდგომას, მეორენი _ მხოლოდ " წითელი კვერცხის" დაჭახუნებით", ზოგი საგანგებოდ გადანახულ ჭირნახულს ამ დღისთვის ამზადებს და ამქვეყნად წასული ახლობლების გახსენებას ჭიქა ღვინით და საფლავზე გასვლით აგვირგვინებს, მაგრამ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ სიხარულის მიზეზი ერთია _ ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვახსენებს უფლის ღვაწლს, მის სიყვარულს, მის თავდადებასა და იმ აუარებელ სიკეთეს რაც აღდგომით მივიღეთ. მართლმადიდებლური სამყარო უდიდესი სიხარულით ელოდება ქრისტეს აღდგომას, რადგან ეს გახდა საწინდარი სიკვდილზე სიცოცხლის, ბოროტებაზე სიკეთის, სიცრუეზე სიმართლის და ჯოჯოხეთზე სამოთხის გამარჯვებისა. გამოვიდა სიძე ჯოჯოხეთით _ შემოსილი დიდებით და აღსდგა მკვდრეთით _ შემოსილი ძლიერებით, ფეხი დაადგა ცოდვას და გასრისა სიკვდილი და ცოდვის მახვილი დაბლაგვა. მათ ვინც კეთილად იღვაწა ამ მარხვაში და მათაც, ვინც მეთერთმეტე ჟამის მუშაკივით მივიდა ღვთის სამსახურში, ეკლესია ერთნაირად მოუწოდებს აღდგომის შესახვედრად და მისი სიხარულის გასაზიარებლად.

და მაინც რა არის ჩვენი ასეთი სიხარულის მიზეზი, რატომაა ეს დღე დღესასწაულთა დღესასწაული?

მთელი კოსმოსის, ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედი და სიცოცხლის ერთადერთი საწყისი არის ყოვლადწმიდა სამება. მასში, მასთან და მისით არსებობს ყოველი. იგია მარადიული.

ადამისა და ევას ცოდვით დაცემის გამო მთელი კოსმოსი ხრწნილებას დაექვემდებარა და სამყაროში შემოვიდა სიკვდილი. "როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად და ცოდვის მიერ _ სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ" (რომ. 5.12.) ძველი აღთქმის წმიდა და მართალი ადამიანებიც გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში ვერ შედიოდნენ, რადგან მემკვიდრეობით მიღებული პირველქმნილი ცოდვით დამძიმებულნი ღვთის წიაღისთვის შეუფერებელნი იყვნენ. ასე რომ, ყველასათვის დაიხშო სასუფევლის კარი.

უფლის სამართალი და კანონზომიერება ითხოვდა, რომ ცოდვის საპირწონე გამოსასყიდი ისევ ადამიანს აღესრულებინა, ხოლო რადგან კაცთა შორის



და, ზოგადად, ქმნილებათა შორის ასეთი არავინ იყო და ვერც გამოჩნდებოდა, გმინავდა სამყარო, ჯოჯოხეთი და სიკვდილი კი ზეიმობდა.

და აი, აღსრულდა წარმოუდგენელი და ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელი საიდუმლო, _ კაცობრივი ხორცი შეისხა ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასმა, _ ძე ღვთისამ და ბეთლემს ბაგასა შინა მოევლინა წუთისოფელს, რომ უცოდველს ეტვირთა ჩვენი ცოდვები. დაემარცხებინა ბოროტი ძალები და ჩვენთვის კვლავ მარადიულობა მიენიჭებინა.

აღდგა უფალი და აღდგა კაცობრიობაც. უდიდესი სიხარული უდიდესი დღესასწაული, ყოველივეს სიცოცხლე ატყვია, ყოველი მცენარე, ყოველი არსება ხარობს და გალობს. წმ. თეოდორე სტუდიელი ბრძანებს: "ღვთის მიერ ქმნილი, აღდგომის მოსვლასთან ერთად განიშორებს ზამთრის პირქუშობას და დროებით მკვდარი, კვლავ ცოცხლდება და ყვავის. და აი, ჩვენ ვხედავთ მიწას გამწვანებულს, ზღვას დაწყნარებულს, ყოველივეს შეცვლილს უკეთესობისაკენ. თუ უსულო და უგონო ამგვარად დღესასწაულობს ბრწყინვალე აღდგომას, იმკობა და მშვენდება, რამდენად მეტად უნდა გავლამაზდეთ და კეთილსურნელება ვაფრქვიოთ ჩვენ, რომელთაც გვაქვს გონება და ვართ ხატი ღვთისა?

როდესაც გაივლის აღდგომა და დამთავრდება დღესასწაული, ნუ ვიფიქრებთ, რომ დასრულდა სიხარული და ზეიმი, ვიდღესასწაულოთ მარადიულად. განა შესაძლებელია? ეს შესაძლებელია, თუკი ცოცხლად შევინახავთ ჩვენში ხსოვნას ჩვენი უფლის.

მთელი ჩვენი ცხოვრება იმედით ჭვრეტს საუკუნო აღდგომას, რადგან ჩვენთვის განცხადებული აღდგომა, დიდებული და აღმატებული, როგორც წმინდა მამები ამბობენ, მხოლოდ სახეა იმ, მომავალი, საუკუნო აღდგომისა. ეს მოდის ერთი დღით და მიდის, ის კი _ მარადიულია. იქ არის სამეუფეო ტრაპეზი ქრისტესი და სიუხვე მარადიული კეთილდღეობისა.

და ჩვენ ვისწრაფვით ამ მარადიული აღდგომისაკენ და უფალი ჩვენი, თუ ჭეშმარიტად ვემსახურებით მას, ღირს გვყოფს თავისი ზეციური აღდგომის მკვიდრნი გაგვხადოს, რომელიც გვებოძება კაცთმოყვარებით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ჯვარცმულისა, დაფლულისა და აღდგომისა".

ქრისტეს აღდგომა ჩვენი სარწმუნოების ქვაკუთხედია და ეს მოვლენა დღესასწაულთა დღესასწაულია, ვინაიდან მისით დამარცხდა სიკვდილი, ცოდვა და ეშმაკი. ქრისტეს აღდგომით გამოჩნდა სიკვდილის არარაობა, უსუსურობა და სულის უკვდავება. ამიტომ ქრისტესთან დაკავშირებული ყველა ადრეული მოვლენა, მისი შემდგომი _ აღდგომის მოლოდინითა და სიხარულით არის აღსავსე, შესაბამისად, აღდგომის სიდიადე განუზომელია ქრისტიანისათვის.

აღდგომა მარტო დიდი დღესასწაული არ არის. იგი ქრისტიანობის არსია.

ქრისტეს აღდგომა _ ჩვენთვის ბოძებული ძლევაა! ეს იგივე ქრისტეს ძლევაა ჩვენზეც, ანუ ცოდვაზე. რადგან ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ ცხონება არ დამკვიდრებულიყო ჩვენში! ჩვენი სულის ზღურბლს მიღმა განვდევნეთ ქრისტე, ჩვენი ცოდვებით მივამსჭვალეთ იგი ჯვარს, მის სფლავს მცველები მივუჩინეთ და საფლავი დავბეჭდეთ ურწმუნოებისა და უსიყვარულობის ბეჭდით და ჩვენი ასეთი უგუნური მდგომარეობის მიუხედავად, იგი ჩვენს გამო მაინც აღსდგა! ქრისტე არა მხოლოდ აღდგომილია, არამედ აღმადინებელიც! მოციქულები აღდგომაზე საუბრობენ არა როგორც მხოლოდ მის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენაზე, არამედ ასევე იმათ ცხოვრებაშიც, ვინც სააღდგომო კეთილუწყება მიიღო და გაითავისა, "ხოლო თუ მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, დამკვიდრებულია თქვენში, ქრისტეს მკვდრეთით აღმდგენი თქვენს მკვდარ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც მკვიდრობს თქვენში" (რომ. VIII,11).

ქრისტეს ზესასწაულება იმაშია, რომ მისი სიკვდილი და აღდგომა "ჩვენში მოქმედებს" (2 კორ. IV, 12). და მას შემდეგ ყველა ქრისტანს შეუძლია თქვას, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა პონტოელ პილატეს დროს იერუსალიმში მოხდა.

ჯერ კიდევ გავიხსენოთ ის, რომ ადამსა და ევას სამოთხიდან განდევნის შემდეგ შემოქმედება აღუთქვა, რომ კაცთა მოდგმას მაცხოვარს მოუვლენდა, ანუ მხსნელს, რომელსაც ადამში შემცოდე ადამის მოდგმა _ მთელი კაცობრიობა უნდა გამოეხსნა ანუ ქრისტეს მიწიერი ცხოვრება გამომხსნელი შინაარსის მატარებელია, რაც აღსრულდა ათასწლეულების შემდეგ განკაცებული უფლის ჯვარცმით და მისი ბრწყინვალე მკვდრეთით აღდგომაში განცხადდა. ის ემსახურება ადამიანის რწმენასთან შერიგებას და მთელ ამ პროცესში ჯვარცმას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

თუკი ქრისტეს განსხეულება არის ცოდვაზე გამარჯვების, ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირის აღდგენის წინაპირობა, მაშინ ჯვარზე სიკვიდლი იმ დაწყევლილობისაგან განთავისუფლებაა, რომელიც ცოდვის შედეგად მიიღო ადამიანმა.

სრულიად უცოდველ ქრისტესთან, სიკვდილს არაფერი აკავშირებს, ქრისტე ჯვარზე ჩვენი სიკვდილით მოკვდა და მოკვდა არა იმიტომ, რომ სიკვდილისაგან თავის დაღწევა არ შეეძლო, არამედ მან ასეთი სიკვდილის განხორციელება თავად მოისურვა, თითქოს აღსრულდა ფარისეველთა და ჯოჯოხეთის ძალთა წადილი, _ მოკვდა იესო; მისი სული და სხეული ერთმანეთს განეშორა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა, _ ქვესკნელში შთავიდა სამყაროს შემოქმედი! ეშმაკთ ჰგონებოდა, რომ სხვა ადამიანთა მსგავსად შთანთქავდა ჯვარცმულ იესოს მაგრამ თავად აღმოჩნდა ძლეული. ქრისტე მაცხოვარმა, რომელშიც საღვთო ბუნება ადამიანურ ბუნებასთან იყო შეერთებული, შემუსვრა ჯოჯოხეთის ბჭენი, დაამხო მისი ძლიერება, და იქ მყოფი მართალთა სულები ცათა სასუფეველში აიყვანა.

ქრისტემ "ძლევაი საკვირველი" მოიმოქმედა. მან სრულიად თავისუფალმა, ჩვენი დაცემული ბუნების სანაცვლოდ, საკუთარი სიცოცხლე სიკვდილს დაუმორჩილა და ჩვენ ცოდვის ტყვეობიდან გამოგვიხსნა. ამ სიკვდილით მაცხოვარი შეიქმნა სიკვდილზე გამარჯვებული, ეს გამარჯვება უფალმა განახორციელა და "სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი" გახდა და ეს გამარჯვება უფალმა იესო ქრისტემს თავის აღდგომით დააგვირგვინა.

მოციქულთა მიერ უფლის დამოწმებამ მოიცვა მთელი ქვეყანა და ჩვენამდე მოაღწია. ჩვენც ვერწმუნეთ მას და ნათლობით მივიღეთ ძალა წმიდა სულისა. აღდგომას, ცისკარზე, ვისმენთ ანგელოზთა ხარებას ცარიელ საფლავზე და გვესმის სიტყვები სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებისა. ქრისტე აღდგა! ღამე უკანაა, მზე ამოვიდა და მოგვეახლა ახალი დღე, რომელშიც არ ბატონობს სიკვდილი და განშორების ტკივილი. ეს არის დღე იმ მეუფებისა, რის შესახებაც აღმდგარი მაცხოვარი ეუბნება მოწაფეებს, როდესაც მათ თავისი აღდგომის შემდეგ გამოეცხადათ და ამ მეუფებას ჩვენ საზეიმო ლაღადებით განვადიდებთ. კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა! აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მიტროპოლიტი ალექსანდრე შმემანი: "ქრისტეს აღდგომა არის საწყისი ჩვენი სულიერი აღდგომისა, სულიერი მისწრაფებების გაღვიძებისა, ასევე, ზნეობრივი აღორძინებისა.

აღდგომა არ არის წარსულის მოგონება! იგია რეალური შეხვედრა ღმერთთან! აღდგომა არის სიხარულითა და ბედნიერებით მიახლება მასთან, ვინც ჩვენმა გულმა დიდი ხნის წინ შეიცნო, როგორც სიცოცხლისა და ნათლის წყარო!

აღდგომის ღამე მოწმობაა იმისა, რომ ქრისტე ცოცხალი ღმერთია, რომელიც მუდამ ჩვენთანაა და მხოლოდ მასში და მის მიერვე ვართ ცოცხლები! ეს დღესასწაული არის მოწოდება _ დავინახოთ და შევიგრძნოთ ნათლის მეუფების განთიადი სამყაროში".

თუ ოცი საუკუნის უკან გადავინაცვლებთ და წარმოდგენით მაინც წარმოვიდგენთ მაცხოვრის ჯვარცმის სიმძიმეს და თითოეული ჩვენგანი მასთან ერთად ავალთ ჯვარზე, მაშინ უფრო მეტი ძალა ექნება და მეტად გვექნება გათავისებული მისი ამქვეყნიური მოვლინების არსი და უფრო მოჭარბებული სიხარულით აღვნიშნავთ არსებულ დღესასწაულს.

არქიმანდრიტი ვიტალი სიდორენკო: "შეიყვარეთ მოყვასი და თქვენ შეიყვარებთ ქრისტეს! შეიყვარეთ მაჭირვებელნი და მტერნი და სიხარულის კარი განიხვნება თქვენთვის... და აღმდგარი ქრისტე განწმენდს სიყვარულში აღდგენილ ჩვენს სულს. სულ ეს არის! ქრისტე ცოტას ელოდება ჩვენგან უფალი! ამაშია ჩვენი სამოთხე! ესაა ჩვენი აღდგომა! შეიყვარეთ სიყვარული და მარადის იცოცხლებთ ვნებებში აღმდგარი მაცხოვრის სიყვარულში".

მაცხოვარმა გამოიხსნა კაცობრიობა და მოგვცა ახალი აღთქმა, ახალი სწავლება, რომლის მეშვეობითაც მოგვეცა საშუალება სულის გადარჩენისა _ ცხონებისა და მარადიული ნეტარებისა.

მოამზადა გოგიტა გიორგაძე

რეპლიკა

## აბედვარიქ

რა თქმა უნდა, ვერავინ გაიგებს ამ უცნაური, სათაურად გამოტანილი სიტყვის მნიშვნელობას.

ეს უცნაური სიტყვა დიდი ხანია "ამშვენებს" თამარ მეფის ქუჩაზე ერთ-ერთ მოზრდილ შენობას.

წარწერა საფირნიშე-სარეკლამო ასოებითაა შესრულებული.

და მაინც, რას ნიშნავს ეს სიტყვა? უთუოდ, "ქირავდება!" უნდოდა დაეწერა მეპატრონეს შენობაზე, ეტყობა (გაუაზრებლად) წარწერა შენობის შიგნიდან გააკეთა, გარედან კი უკუღმა იკითხება, როგორც "აბედვარიქ".

შეცდომა ვის არ მოსდის, მაგრამ, ნუთუ ვერავინ შენიშნა ამდენ ხანს ეს "ჩიქორთული" რომ გაესწორებია?

ყველა საქმე, დიდი თუ მცირე, გონების დაძაბვით, დაკვირვებით უნდა გაკეთდეს.

## მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის წინ...

უკვე დროდადრო გასაყიდი მანქანები დგას შესაბამისი წარწერით "იყიდება".

მართალია, მისმა უდიდებულესობამ დემოკრატიამ ბევრი უფლება მოგვცა, მაგრამ მეტის მეტს ნუ ვიზამთ, თუ არა ხომ შეიძლება გოჭით, ინდაურით ხელდამშვენებული ვიხილოთ მალე გამგეობა-საკრებულოს წინ სოფლის მცხოვრებნი გასაყიდი ფრინველებითა და ცხოველებით ჩამომსხდარნი?

ერთი სიტყვით, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი ადმინისტრაციული სახლის წინ "ყიდვა-გაყიდვის ბირჟის" არსებობა გამართლებული და არც შენობის მინებზე განთავსებული განცხადებები გამოიყურება ესთეტურად.

იქნებ, დავფიქრდეთ ამ საკითხებზე!

ლევან გაბეჩავა

## იმრავლონ თქვენნაირმა კეთილმა კაცურკაცებმა

ბატონი გიორგი ლეჟავა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ისეთ განყოფილებას განაგებს, სადაც ყველა გაჭირვებული იყრის თავს.

მთხოვნელის შესვლისთანავე ფეხზე წამოდგება, სკამს შესთავაზებს, მთხოვნელს გულდასმით მოუსმენს და მისი არაჩვეულებრივი ხავერდოვანი ხმით, გასაგებ ენაზე, დეტალურად აუხსნის ყველაფერს. თუ თხოვნის შესრულება მის კომპეტენციას აღემატება, წამობრძანდით ჩემთან! _ მიმართავს მთხოვნელს და ადრესატამდე თბილი, დამაიმედებელი საუბრით მიაცილებს.

გასაკვირიც არაფერია, ბატონი გოგი ხომ იმ დიდებულ სოფელში დაიბადა და აღიზარდა, სადაც ნიკო ნიკოლაძე, ნაზარი ლეჟავა და სოფლისთვის თავდადებული პოლიკო ბეკოს ძე მიქაძე დაბიჯებდნენ.

დაე, იმრავლონ ბატონი გოგისნაირმა კეთილმა და ერუდირებულმა ადამიანებმა.

გფარავდეთ უფალი!

ღრმა პატივისცემით შალვა ლომიძე

# “იქ ბიძინას ებრძვიან, აქ – ილოს!”

ნინო ნანიტაშვილი

***იმ დროს, როცა სოფელ ვაზისუბანში, რკინიგზის გადასასვლელიდან დაახლოებით 50-100 მეტრის მოშორებით ადამიანები ისხდნენ და მდინარე ხევისწყალზე არსებული კარიერიდან ინერტული მასალის მოპოვებას შიმშილობით აპროტესტებდნენ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში ვაზისუბნის ოცამდე წარმომადგენელი სწორედ ამ კარიერის მომავალზე მსჯელობდა. ვალერიანე ფოცხვერია მარტო რომ არ ყოფილიყო, მოსახლეობასთან შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს სხვა ოფიციალური პირებიც დაისწრო და პრობლემატურ თემაზე ერთობლივი მსჯელობა გამართეს.***

“როდესაც ტენდერში გამარჯვებული ჩინური კომპანია “სინობიდრო” გამოვლინდა, იმთავითვე შევხვდი ხელმძღვანელობას და ვთხოვე, მუშაობის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა ჩაერთო. მივიღე მათგან თანხმობა. დღეს სწორედ იმ ადამიანთა ნაწილია მოსული, რომლებიც თავიანთ სოფელში საქმიანობით უნდა დაკავებულიყვნენ. ისინი სამუშაოს დაწყებას ელოდნენ და მათი ოჯახების კეთილდღეობაც ამ კარიერის ამოქმედებაზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, თუ ვაზისუბნელებს ინერტული მასალის ამოღებით საფრთხე დაემუქრებათ, კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ჩვენს მუნიციპალიტეტში საქმიანობა გააგრძელოს, თუმცა უკვე გამაჩნია სპეციალისტების დასკვნები, რომ მდინარე ხევისწყალზე ინერტული მასალის მოპოვება გარემოსადმი უვნებელია”. 26 აპრილს გამგეობის შენობაში მოსახლეობის სტუმრობა და მისი სუბიექტური პოზიცია “სამტრედიის მაცნესთან” ასე ჩამოაყალიბა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ტოლების თემში კარიერის ამოქმედებამ დაპირისპირება გამოიწვია. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იმთავითვე გააქტიურდა და მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე ხელმოწერები შეგროვდა. ისინი სიტუაციაში გარკვევას და ინერტული მასალის მოპოვების შეწყვეტას მოითხოვდნენ. თუმცა რამდენიმე მათგანმა განცხადების ბოლოს თავისი სახელი და გვარი ისე აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში მიმართვის წერილზე ხელი მათ არ ჰქონდათ მოწერილი. ამ ფაქტს ვალერიანე ფოცხვერია არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი ამბობს, მისთვის მთავარი იყო დასკვნა, რომელიც 2016 წლის 21 აპრილს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან მოუვიდა და რომელსაც სააგენტოს უფროსი თამარ ბაგრატია აწერს ხელს. ჩვენ კი მასში ვკითხულობთ: “ხსენებული დასკვნის მთავარი მიზანი არის სალიკვიდაციო ფართობზე რისკებისა და საფრთხეების შეფასება. სალიცენზიოდ მოთხოვნილ ტერიტორიაზე, არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სააგენტოს მიერ მოვლინებული იქნენ გეოლოგიური დეპარტამენტის თანამშრომლები. ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კარიერზე მოპოვებითი სამუშაოების განხორციელება არ გამოიწვევს პროცესების გაუარესებას.



სალიცენზიო ობიექტი ლიცენზიის გაცემამდე დამატებით შეთანხმდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, “საქართველოს რკინიგზასთან” და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან. მიღებული თანხმობის საფუძველზე, აგრეთვე, გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ხევისწყალზე გაიცა სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების ლიცენზია.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის თხოვნის საფუძველზე, ამა წლის 12 აპრილს ადგილზე იმყოფებოდნენ გეოლოგიური დეპარტამენტის თანამშრომლები. შედგა შეხვედრა მოსახლეობასთან და ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან. დაინტერესებულმა მხარემ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კალაპოტში წარმოქმნილია ინერტული მასალის ჭარბი აკუმულაცია, რის გამოც იგი გადავსებულია და საჭიროებს გაწმენდას, რათა შემდგომში თავიდან იქნას აცილებული გეოდინამიკური გართულებები”.





ამ დასკვნის საფუძველზე სამტრედიის მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი მმართველობაში, არიან ადამიანები, რომლებიც ვაზისუბანში გართულებულ სიტუაციას პოლიტიკურ სარჩულს უდებენ და თვლიან, რომ ხელისუფლების ოპოზიცია, კონკრეტულად კი “ნაციონალური მოძრაობა” ამ შემთხვევას წინასაარჩევნო პერიოდისთვის ხალხის გასაღიზიანებლად იყენებს. უფრო მეტიც, ვაზისუბანმა რამდენიმე მათგანს ციხისძირი გაახსენა. მათ შორისაა სოფლის მაჟორიტარი ილია მჟავია, რომელმაც მუნიციპალუტეტის გამგებლის კაბინეტში თავისი პოზიცია ხმამაღალი რეპლიკით ხატოვნად გამოხატა: “ბევრი ხელმოწერა მოვიკითხე არატოლებელი მოსახლეობის, კერძოდ, 70 კაცი მათგან საჯავახოელია. რაც ნიშნავს იმას, რომ “ნაციონალები” ვაზისუბანში პოლიტიკურ პიარს იკეთებენ. როგორც ხის გადატანზე ატეხეს ერთი ამბავი, ასე უსაფუძვლოდ გვიპირისპირებენ ხალხს ვაზისუბანშიც. ერთი სიტყვით, იქ ბიძინას ებრძვიან, აქ – ილოს!”

ვაზისუბნელებთან შეხვედრაზე ილია მჟავიას პოზიცია უფრო მეტად განავრცო საკრებულოში უმრავლესობის წევრმა დავით ამაღლობელმა.

“ის, რაც ტოლების თემში ორი წლის განმავლობაში გაკეთდა, საერთოდ არ გაკეთებულა, უბრალოდ, ეს პროცესი ანგაჟირებულია “ნაციონალური მოძრაობის” მიერ. ფაქტობრივად, “ციხისძირი-2” მივიღეთ ტოლებში იმ აქციების სახით, რორმლებსაც “ნაციონალები” ამ დღეებში აწყობენ. იქ ვერ მიაღწიეს იმას, რომ მოსახლეობა გამოეყვანათ ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩემი აზრია, რომ მათ ვითარება მიჰყავთ იქითკენ, ოღონდ რამე არ გაკეთდეს”.

ვალერი გეფერიძე, ვაზისუბნის მკვიდრი: “5-10 კაცის გადასაწყვეტი არაა მთელი თემის პრობლემა. პირადად ჩემი სახლის უკან ჩამოდის ის მდინარე და რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ხრეში გაჰქონდათ. სპეციალისტების დასკვნების მჯერა. ცუდი და დამაქცევარი რომ იყოს, სახელმწიფო არ დაუშვებდა კარიერის მუშაობას”.

ოლეგ შანიძე, ვაზისუბნის მკვიდრი: “არ გვინდა მოსახლეობას შორის დაპირისიპირება და ბზარი გაჩნდეს. რაც უნდა ერთ მხარეს, ის გვინდა ჩვენც.”

## 3 მაისი პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეა!

# ჩვენ ვამბობთ სიმართლეს!

ლევან გაბეჩავა

***– “ვთხოვთ, როგორც სულიერ შვილებს, სიკეთეზე წერეთ. გედლევათ ლოცვა-კურთხევა ყველას, პირველ რიგში ჩემს თავს ვეუბნები, ყველა მახარობელი უნდა იყოს და სიხარულით აავსოს ადამიანი”.***

***ამ მრავლისმთქმელი სიტყვებით რამდენიმე წლის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიმართა ერთ-ერთი ქადაგებისას ჟურნალისტებს.***

ცხადია, როგორც ხალხი, ისე მისი უწმინდესობა, ჩვენი დროის ყველაზე დიდი ქართველი დააფიქრა იმ ფაქტმა, რომ ხშირ შემთხვევაში საინფორმაციო საშუალებები სკანდალური ფაქტების, მოვლენების დრამატულ წარმოჩენასა და წარმოსახვაზე არიან ფოკუსირებულნი, ნაცვლად იმისა, რომ მედიატორის როლი იკისრონ.

დრო სწრაფად გადის.

სწრაფადვე იცვლება და იზრდება ადამიანთა მოთხოვნილებები.

ის, რაც გუშინ, იმის წინ მიუღებელი და მიუწვდომელი იყო, დღეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

აშკარა საფრთხის წინაშეა ჩვენი იდენტობა, კულტურა, მწერლობა...

ვინაა ყოველივე ამაში დამნაშავე?

ისევ ჩვენ, ზედმეტად მაქსიმალისტი ქართველები.

მოდას აყოლილები, ვერ ვამჩნევთ, უფრო სწორად, არ გვინდა შავისა და თეთრის, ავისა და კარგის გარჩევა.

სამწუხაროა, თუმცა, რეალობას ვერ გავექცევით და აღვნიშნავთ, რომ მართლაც საკვირველია რიგი გამოცემების, ტელევიზიების მიზანი, მუშაობის სტილი.

აშკარაა ტენდენციურობა რიგ ჟურნალისტთა საქმიანობაში...

რაც არის, როგორც არის ყველა კარგად ვგრძნობთ, ვხედავთ, ვამჩნევთ.

და მაინც, როგორია პრესის თავისუფლების ხარისხი დღევანდელ საქართველოში?

ცოდვაა, უმადურობა იქნება არ ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით პრესა, მედია თავისუფალია, არავინ არავის უშლის თავისუფალი აზრის გამოთქმას, გამოხატვის უფლება ყოველთვის იყო აღიარებული საკანონმდებლო დონეზე, თუმცა...




“ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა”, დიახ, რიგ (ხშირ) შემთხვევაში სწორედ ასე, რეაგირების გარეშე რჩება პრესის, მედიის, თავისთავად, ჟურნალისტის მიერ ნათქვამი.

შედეგი – ნულოვანი.

რა გამოდის? რას ნიშნავს ეს თავისუფლებას?

არ გვგონია.

ისტორია ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა არაა, მოვლენებს ერთი მხრიდან რომ ვუყუროთ. კომუნისტების დროს, როცა ერთპარტიული ჰეგემონია მეფობდა, ყველა გაზეთი ერთპარტიული, სოციალისტურ-კომუნისტური იდეოლოგიის მქადაგებელი იყო და სწორედ მაშინ, პრესის მიერ გამოთქმულ კრიტიკაზე თუ ის სიმართლის შემცველი იყო, უსწრაფესი რეაგირება ხდებოდა. თუ მცდარი იყო შენიშვნა, ამ შემთხვევაშიც სათანადო იყო რეაგირება.

რასაც ვგულისხმობთ ნათქვამში, კარგად მიხვდება მკითხველი.

კრიტიკულ, პრობლემურ საკითხებზე რეაგირება მაშინ უფრო ხდებოდა, ვიდრე ახლა. მაგალითები? რამდენიც გნებავთ.

სამტრედიის მაგალითზე მოგახსენებთ.

სათვალავი ამერია, რამდენჯერ, რამდენი თხოვნა-მუდარის შემცველი თუ კრიტიკული წერილი, ინფორმაცია მივუძღვენით ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, ცნობილი დასტაქრის, აკადემიკოს იუსტინე ჯანელიძის ბიუსტზე შესაბამისი წარწერის გაკეთების აუცილებლობას, და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის აუცილებლობის საკითხს. შედეგი – ნულოვანი.

შევარდნაძის რეჟიმიდან მოყოლებული ათობით მოქალაქის, მათ შორის ჟურნალისტების თხოვნაც იყო, ნაარჩევნებს ქალაქის ქუჩები არჩევნებში გამარჯვებული თუ დამარცხებული პოლიტიკოსების ფოტოებისგან გაგვეთავისუფლებია, თუმცა...

რამდენჯერ ვთქვით, როცა მოსახლეობას წყალში ფულს ვახდევინებთ, ქალაქში მოშლილი ონკანები, შესაბამისად, წყლის უყაირათოდ, ფუჭად დაღვრის ფაქტები ვინმემ უნდა აკონტროლოსთქო, მაგრამ...

ბოლო 10 წელია გავყვირით, ქალაქში ერთი საafიშე დაფა, განცხადებისათვის შესაბამისი ადგილები უნდა გამოიყოს-თქო, მაგრამ ამაოდ, ვინ 30 სანტიმეტრის სიგრძის თმას იბარებს, ვის როიალი, მანქანა, ცხენი, ინდაური ჰყავს გასაყიდი, ქალაქში ცნობილი ანსამბლები, მომღერლები, მხატვრები ჩამოდიან თუ მიდიან, ამ და სხვა ახალი მოვლენების საუწყებლად განცხადებებს უპრობლემოდ ვათავსებთ ადმინისტრაციულ სახლებზე, ვიტრინებზე, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება.

უგემოვნოდ ნაგები შენობები ქალაქის ცენტრში...

აშკარად სიცოცხლეწართმეული მცენარეების დანარცხება ცოდვილ დედამიწაზე.

მოუკვდა პატრონი, რა ჩემი საქმეა... მსგავსი ტენდენციები მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურობაში.

და მაინც, რა არის დემოკრატია?

ხალხის მმართველობა, კანონის უზენაესობა!

რითი უფრო ფასდება პრესის თავისუფლება?

სათქმელის თქმას რომ არავინ გვიშლის?

თუ იმით, რამდენად სწრაფად ხდება შენიშვნაზე რეაგირება?

რა თქმა უნდა, მედიის, ჟურნალისტის ობიექტურ შენიშვნაზე, წინადადებაზე ობიექტური რეაგირებაა პრესის თავისუფლების ძირითადი ქვაკუთხედი, აქვე დავსძენთ, რაკი პროფესიული უფლებებიდან გამომდინარე, ჟურნალისტი მასების აზრის გამომხატველიცაა, მოთხოვნა – მოხდეს სწრაფი რეაგირება კრიტიკულ წინადადებებზე, არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ჟურნალისტების მოთხოვნა მათი უფლებების გაზრდისათვის.

ასე რომ, პრესის თავისუფლება, თუკი ის რეალური იქნება, ჰაერივით სჭირდება საზოგადოების ნებისმიერ ფენას და, რაღა თქმა უნდა, ჟურნალისტებს.

# "თითოეული ჩვენგანი, რაღაც თვალსაზრისით, წიგნების ჯამი ვართ"

ნათია ნაცვლიშვილი

***"წარმოუდგენელია, რამდენიმე საათის განმავლობაში ჩვენ მოვიცვათ ის საკითხი, რასაც წიგნი და წიგნიერება ჰქვია, იმიტომ, რომ თითოეული ჩვენგანი, რაღაც თვალსაზრისით, წიგნების ჯამი ვართ და ის გამოცდილება და თუნდაც, სამეტყველო აპარატი, რომლითაც ერთმანეთს მივმართავთ. მთავარი ანკესი და სატყუარა, რაც მკითხველს უბიძგებს წიგნისაკენ, ეს მხატვრული სტილია" _ ასე დაიწყო ძალზე საინტერესო საჯარო ლექცია ლიტერატურის შესახებ მწერალმა გიორგი კეკელიძემ მუნიციპალიტეტის ხელოვანთა დარბაზში. წიგნის საერთაშორისო დღეს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მოწყობილ ღონისძიებათა შორის გიორგი კეკელიძის ლექცია ერთ-ერთი გამორჩეულია.***

***ნახევარსაათიანი ლექცია-საუბარი მიეძღვნა წიგნის, ლიტერატურის როლის განსაზღვრას, მკითხველის, როგორც თანაგანმცდელის წიგნთან დამოკიდებულებას.***

***გიორგი კეკელიძე თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი, პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, ლექტორი, ტელეწამყვანი, 2010 წლიდან თავისუფალ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს კლასიკურ ლიტერატურაში, ასევე ხელოვნების ლიტერატურის ისტორიას აგრარულ უნივერსიტეტში, პრემია, "საბას"ლაურეატი, (2009 წ.) წინანდლის პრემიის ლაურეატი, 2014 წელს მისი "გურული დღიურები" წლის ეროვნულ ბესტსელერად იქცა.***

მწერლის საზოგადოებრივი აქტიურობა მისი ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა. მიუხედავად დაძაბული სამუშაო გრაფიკისა, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, დედაქალაქში თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, საინტერესო საჯარო ლექციებს მართავს. ამჯერად ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოწვევით სამტრედიას ესტუმრა. მხარდამჭერი მუნიციპალიტეტის ხელისუფლებაა. სამტრედიაში მწერალს ძირითადად ახალგაზრდული აუდიტორია დაუხვდა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ლიტერატურას, წიგნს საფრთხე არ ემუქრება. სწორედ ლიტერატურის მომავალზე გაამახვილა მწერალმა ყურადღება და აღნიშნა:

"დღეს, სოციალური ქსელების ეპოქაში, ინტერნეტის სამყაროში, სხვა ტიპის საცდურების სამყაროში, განსაკუთრებით პოპკულტურის აღზევების სამყაროში მწერლის სიტყვას არ აქვს ჯადოსნური ძალა, როგორც ჰქონდა მე-12 საუკუნის მიწურულს ან მე-20 საუკუნის დასაწყისში. არა მგონია, ქართველი მწერლის ნათქვამის გამო რომელიმე თქვენგანი წავიდეს და ვინმეს ხმა მისცეს. ასეთი გამოწვევები არ უდგას მწერლობას. ის უბრუნდება საკუთარ თავს. უფრო ირონიული ხდება, გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, პარანოიკული განცდებით და ასახავს იმ რეალობას და მოცემულობას, რომლებშიც ჩვენ ვართ. ძალიან ხშირად საუბრობენ, რომ ლიტერატურა კლასიკური გაგებით შეიძლება გარკვეული საფრთხის წინაშე იყოს. ასევე საფრთხე შეიძლება დაემუქროს კინემატოგრაფს, მუსიკას, მხატვრობას იმიტომ, რომ ადამიანს მათი დრო არ რჩება და სადაც თანამედროვე ადამიანი არ არის თანამონაწილე, ცოტათი გაუგებარი ხდება მისი არსებობა. ძალიან ხშირად ფიქრობენ, ამ ყველაფრის მომავალი არის ვიდეოთამაშები, სადაც ყველაფერი ერთადაა მოქცეული (თუ თქვენ სერიოზული ვიდეოთამაში გითამაშიათ "დანტეს ჯოჯოხეთი და სხვა): ტექსტიც, რეჟისურაც, ფერებიც, სიუჟეტიც, ხმა, მუსიკა და რაც მთავარია, აქ თქვენ ხართ რეჟისორიც, მსახიობიც, სცენარის ავტორიც, აი, ასეთი მოსაზრებები არსებობს, თუმცა მსგავსი პროგნოზები ძალიან უმადური საქმეა, უთქვამთ, რომ ყველაფერი უკვე დაიწერა და კიდევ რა უნდა დაიწეროს? მაგრამ, ფაქტია, რომ ისევ იწერება, ვიდრე თქვენი



სახით არსებობს მკითხველი, ვიდრე არის ადამიანის სურვილი, გაიგოს სხვა ადამიანების სურვილების შესახებ, ლიტერატურა მანამდე იარსებებს".

გიორგი კეკელიძემ "სამტრედიის მაცნეს" შეკითხვებსაც უპასუხა:

_ **რომელი უფრო მეტია თქვენში პოეტი თუ მწერალი?**

_ ალბათ ორივე, იმიტომ, რომ ეს უფრო განწყობის საკითხია და გადმოცემის ინსტრუმენტი.

_ **ახალგაზრდებს თქვენი პოეზია უფრო მოსწონთ თუ პროზა?**

_ უფრო პროზაული ნაწარმოებები იციან, თუმცა, მე მაინც მგონია, რომ მხატვრული თვალსაზრისით ჩემი პოეზია უფრო წინ არის. ეს ძალიან სუბიექტური საკითხია.

_ **სამტრედია თქვენს წარმოსახვაში ვისთან ასოცირდება?**

_ უპირველესად იგი ჩემთვის ნიკო ნიკოლაძესთან ასოცირდება. იმიტომ, რომ მე ძალიან მიყვარს ეს პერსონა და ვფიქრობ, ის არის უდიდესი ადამიანი, ილია ჭავჭავაძის მასშტაბის და მისი სახელი ძალიან არასამართლიანად არის მიჩქმალული. ჩვენ ვაკეთებთ მისი სახელობის დიდ წიგნთსაცავს ქუთაისში და ამ თვალსაზრისით გვსურს პატივი მივაგოთ მას. რაც შეეხება თანამედროვე სამტრედიელებს...

_ **ბაჩუკი ჩაბრაძე სამტრედიელია, რატი ამაღლობელი აქაური წარმოშობისაა. ბოლოს და ბოლოს, გალაკტიონს სურდა, სამტრედიას საგალაკტიონო დარქმეოდა...**

_ დიახ, ბაჩუკი ჩაბრაძის შემოქმედებას ვიცნობ, რატი იქნება თუ ბაჩუკი კარგია, თუ ხაზი გაესმება იმას, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან სამტრედიასთან. ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ზოგადად, თუ ვინ საიდან არის. უბრალოდ, ჩვენ უნდა გვქონდეს განცდა, რომ თითოეული კუთხე არის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი ქვეყნისა, არ არსებობს მეორეხარისხოვანი ქალაქები და ნებისმიერი აქ დამსწრე ადამიანი არის იმავე მასშტაბის, როგორც სხვა დანარჩენი, დიდი პოტენციალის მქონე. არ არის აუცილებელი, ვიღაცის სახელი უფრო ცნობილი იყოს, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, დავაფასოთ ერთმანეთი.

_ **თქვენი საყვარელი პოეტები და მწერლები ვინ არიან?**

_ შოთა რუსთაველი და ვაჟა, მწერლები ჰერმან მელვილი, მარკ ტვენი და ფოლკნერი.

_ **სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის წინ რომელიმე კლასიკოს მწერალს წააკითხეთ თქვენი ნაწერი?**

_ ღრმა ბავშვობაში, მე-9 კლასში რეკომენდაცია გამიწიეს თამაზ ჭილაძემ და ანა კალანდაძემ.

_ **მშობლიური გურიიდან გქონდათ შემოთავაზება, კენჭი გეყარათ, ხომ არ ხედავთ თქვენს თავს პოლიტიკაშიც?**

_ სხვა მხრიდანაც მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ ჩემს თავს ვერ ვხედავ პოლიტიკაში. არ ვარ პოლიტიკოსის ნატურა და არა მგონია, ჩემი რესურსი ამ მიმართულებით დავხარჯო, არასოდეს ვყოფილვარ არც ერთი პარტიის მხარდამჭერი..."

ლექციის შემდეგ სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის "ინტერსტელარის" წევრმა, დავით მანჯგალაძემ შეკითხვები დაუსვა აუდიტორიაში მსხდომთ. სწორი პასუხის ავტორები კი წიგნით დასაჩუქრდნენ. 60 საუკეთესო წიგნი "ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში სპეციალურად ამ დღისთვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიძინა. საინტერესო დღის ბოლოს შთაბეჭდილებები დარბაზში მსხდომებმა გაგვიზიარეს:

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია:

"ძალიან კარგი დღე იყო, 14 აპრილს, ქართული ენის დღეს მურმან ჯინორია მოვიწვიეთ, წიგნის საერთაშორისო დღეს კი ჩვენს მუნიციპალიტეტს თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი სტუმრობდა. ვფიქრობ, თქვენც, როგორც ლიტერატურის მოყვარული, ძალიან კმაყოფილი ხართ, კიდევ არაერთ ცნობილ შემოქმედს და ხელოვან ადამიანს უმასპინძლებს სამტრედია, გპირდებით".

გიორგი ჩაჩუა, სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრების "ინერსტელარის" კაპიტანი: "ყველას ვულოცავ დღევანდელ დღეს. შარშანდელთან შედარებით მართლაც მასშტაბური და საინტერესო დღეა. ჩვენთან სტუმრად არის მწერალი, რომელმაც ამომწურავად ისაუბრა ლიტერატურის როლის შესახებ და პარალელები გაავლო თანამედროვე ცხოვრებასთან. მისი გამოსვლა ძალიან საინტერესო იყო. მან აღნიშნა, რომ ლიტერატურის როლი შეიცვალა თანამედროვე ცხოვრებაში, თუმცა ახალგაზრდების დღევანდელი აქტიურობა იმაზე მიანიშნებს, რომ წიგნის და ლიტერატურის როლი არასოდეს იქნება დაკნინებული როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მთელს მსოფლიოში".

ლევან ცირეკიძე, "ინტერსტელარის" წევრი: "მოლოდინი მქონდა, კარგ ლექციას წაიკითხავდა, მაგრამ მოლოდინს გადააჭარბა. მისი "გურული დღიურები" და "ორი თავგადასავალი" მაქვს წაკითხული. დღეს ახალი წიგნი შევიძინე "ცხრათავიანი ფეხბურთის თავგადასავალი" მისი ავტოგრაფიც მაქვს და ძალიან მიხარია. გიორგი კეკელიძეს ტელევიზიით ვიცნობდი დღმედე, როგორც ნიჭიერ მწერალს და პოეტს, დღევანდელი საჯარო ლექციის შემდეგ ეს ადამიანი სხვა კუთხით დავინახე, მან სხვანაირად დაგვანახა ლიტერატურა და უდიდესი სიამოვნება მივიღეთ. ლაშა ლორია, ჩვენი მეგობარი და გუნდის წევრი დამპირდა, რომ სისტემურ ხასიათს მიიღებს მსგავსი საჯარო ლექციები და უახლოეს ხანში ჩემს საყვარელ მწერალს, დათო ტურაშვილსაც ჩამოიყვანენ".

მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე: "ჩვენი ახალგაზრდული სამსახურის ინიციატივით და ხელისუფლების მხარდაჭერით მოვიწვიეთ მწერალი გიორგი კეკელიძე ამ საინტერესო საჯარო ლექციის წასაკითხად. ვაპირებთ კიდევ არაერთი მსგავსი პროექტი განვახორციელოთ. სამტრედიას ეწვევიან ცნობილი ადამიანები. ეს პირველი ღონისძიება მივუძღვენით წიგნის საერთაშორისო დღეს. მიხარია, რომ ჩვენი სტუმარი ჩვენი ახალგაზრდების ნიჭიერებითაც მოიხიბლა და აღნიშნა, რომ ასეთი აუდიტორია ნებისმიერ ქალაქს შეშურდება".







## "აწ მარგალიტი წყობილი"

***საბიბლიოთეკო კვირეულს ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკა გამოეხმაურა. უცნაური ბედი ერგო ყოფილი ბამბის სართავი ფაბრიკის ბინებში განთავსებულ მცირე ბიბლიოთეკას. იგი 1974 წელს დაარსდა, შენობაში, სადაც ახლა მდებარეობს, 1987 წელს დაიდო ბინა, რამდენიმეწლიანი უმოქმედობის მძიმე ხვედრიც იწვნია, მაგრამ 2015 წელს ხელისუფლების დამხმარებით აღსდგა, არც მკითხველები აკლია, ნელ-ნელა წიგნადი ფონდითაც ივსება.***



ამჯერად ბიბლიოთეკარმა დალი კვირცხალიამ ახლომდებარე, მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა დახმარებით საინტერესო საბიბლიოთეკო ღონისძიება შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას "ვეფხისტყაოსანს" მიუძღვნა. ქეთი ადეიშვილი (მე-7 კლასი), ანი ვაჩეიშვილი (მე-8), მარი მეფარიძე (მე-8), მარი აბრამიშვილი (მე-10), ეთუნა ცხვარაძე (მე-8), სალომე ბენიძე (მე-6), ანა (მუქერია) (მე-6), ცისია ხურცილავა (მე-6), მარიამ ფილიშვილი (მე-6) და სალომე აბრამიშვილი (მე-2). მე-2 საჯარო სკოლის დაწყებითების პედაგოგ ნათელა ჯიმშელეიშვილთან ერთად სტუმრობდნენ ბიბლიოთეკას.

მოსწავლეებმა ამომწურავად ისაუბრეს იმ ეპოქის შესახებ, რომელშიც შოთა რუსთაველი მოღვაწეობდა. მსოფლიო ლიტერატურის ეს ერთ-ერთი შედევრი ქართველთა მეორე ბიბლიად სამართლიანად იქცაო, აღნიშნეს მოსწავლეებმა. ისაუბრეს "ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელებსა თუ ილუსტრატორებზე. რომ მიუხედავად იმისა, უცხო ქვეყნებში ხდება მოქმედება, მასში მთლიანად საქართველოს ცხოვრებაა ასახული და "აწ მარგალიტი წყობილი" ქართული პოემაა. ქართველები ქალებს მზითევშიც ატანდნენ, ზეპირად სწავლობდნენ, იწერდნენ. შესანიშნავად წარმოადგინეს "ვეფხისტყაოსნის" საუკეთესო ადგილები ზეპირად. მარიამ ფილიშვილმა ზეპირად იცის 180 სტროფი "ვეფხისტყაოსნისა". ამ მოსწავლემ რამდენიმე სტროფი ახლაც ზეპირად წაიკითხა. აქვე წაიკითეს იმ ქართველ პოეტთა ლექსები, რომლებიც უკვდავ პოემას ეძღვნება. ღონისძიებას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრაველიშვილი, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, ლამარა დუნდუა და დირექტორის მოადგილე, მზია ჩიხლაძე.

"ბავშვებო, თქვენ შესანიშნავი ბუკეტი წარმოადგინეთ "ვეფხისტყაოსნის" ცოდნისა. ასევე, განცდებისა, ემოციებისა, შესანიშნავი, ამომწურავი ცოდნა გამოავლინეთ, რაც ძალიან მიხარია, რომ ამ ბიბლიოთეკაში ასე საინტერესოდ მიმდინარეობს კულტურული ცხოვრება". _ აღნიშნა ლიზა კრაველიშვილმა. ქალბატონი ლიზა კრაველიშვილი წლების განმავლობაში იყო ბამბის სართავი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, ამდენად მისთვის განსაკუთრებულად ძვირფასია ეს ადგილი. ასევე მოიწონა ღონისძიება ქალბატონმა ნატალიამ და აღნიშნა, რომ სასიამოვნოა ახალი თაობის წიგნთან ასეთი სიახლოვე, რაც სამომავლოდ ქვეყანას არგებს.

ნათია ნაცვლიშვილი

# როცა ახალგაზრდები წიგნთან მეგობრობენ

თეა ბაბუნაშვილი

***საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში გომის თემის ბიბლიოთეკის მკითხველებმა ამაღელვებელი ღონისძიება გამართეს. თემა ბიბლიოთეკარმა მზია ჯინჭარაძემ შეარჩია და ზუსტად მოარგო იმ თარიღების განწყობას, აპრილში განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით რომ აღნიშნა ქვეყანამ. 9 და 14 აპრილის ერთგვარი გაგრძელება გახლდათ მათი მოგონება, გმირის სახელით რომ ანაცვალეს ახალგაზრდა სიცოცხლე მამულს.***

გომში თანასოფლელი გაიხსენეს, იქვე, კორმაღალში მცხოვრები ბიჭი, ნათელი ღიმილით. მას ლაშა თევზაძე ერქვა. მთელი ქვეყნისა და მათ შორის იმ სამტრედიელებისთვისაც კარგად რომ იცნობენ, მათთვისაც, სიცოცხლეში რომ ვერ სცნობდნენ, სიცოცხლესთან გმირულად გამოთხოვებამ, ახლობელი გახადა იგი. ამიტომაც კიდევ ერთხელ იხსენებდნენ სუფთა წარსულით, სიყვარულით და პატივისცემით.

ღონისძიებას დედისერთას დედა ესწრებოდა. ახალგაზრდად დაქვრივებული მეუღლე და მასავით დედისერთად დარჩენილი ვაჟი, იქ, დედაქალაქში არ ივიწყებენ მამას. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ყველამ იცის, რომ 22 წლისა გარდაიცვალა ლაშა თევზაძის მამაც. იგი ავღანეთის ომში შერყეულმა ჯანმრთელობამ იმსხვერპლა. მაშინ მასაც გმირობად ჩაუთვალეს სიკვდილი. ერთადერთი დარჩა დაქვრივებულ ახალგაზრდა ქალს ლაშა და დღესაც, წლების შემდეგ ძნელია მისთვის იმ აზრთან შეგუება, რომ აღარ არის ქვრივობის დარდის იმედად გაზრდილი შვილი, ნათელი ბიჭი გმირული სულით.

ვინ იცის, მერამდენედ მოკვდა ქალბატონი მადონა კაცაძე, აქ, ამ დარბაზში და ყველგან, ყველა დარბაზში, როცა შვილის სახელი მოსაგონრად ნათქვამი ესმისო. _ არაერთმა თქვა გულაჩუყებულმა იმ სანახაობით.

... მაგრამ ამაყიც იყო დედა! გმირის დედობა გმირობასავით არ არის ადვილი. გმირის შვილობა, გმირის ცოლობა უნდა ასწავლოს ლაშას შემდეგ იმედად დარჩენილ მის პატარა ოჯახს. ახლა ამისთვის ვცოცხლობო, აცრემლებულმა დედამ.

გომის სამუსიკო სკოლის ერთ უბრალო დარბაზში, ნამდვილად რომ სჭირდება მზრუნველი ხელის შევლება, ქალბატონებზე არაფერს ვამბობთ, მამაკაცებმა ჩვენც გაგვიჭირდა ცრემლის შეკავებაო, რადგან გულწრფელი იყო ყველა ნათქვამი სიტყვა და ამ გულწრფელობას ცეცხლს უკიდებდა, სულს სწვდებოდა და აქვითინებდა ამაღლობლების ოჯახის გრძნობით ნამღერი არაერთი ლამაზი სიმღერა.

პოეტისა არ იყოს, ''არსაიძეებს ახლაც სჭრიან რადგან მარჯვენასო'' რომ დაწერა და ესეც გულს მოახვედრა, იმ კედლებს გარეთ, სადაც გმირზე საუბრობდნენ, ცხოვრება ''მძვინვარებდა'', მტრობაც ბობოქრობდა და სიყვარულიც, სიკეთეც და ბოროტებაც. ჭრელი წუთისოფელი ნაირ-ნაირი ფერით ხატავდა ცხოვრების ტილოს. ფანდური კი ერთ პატარა დარბაზში სულს აკვნესებდა: ''მოხვალთ ცრემლებად, მოხვალთ დარდებად, ჯარისკაცებად კი არასოდეს...''

''ერთდროულად აღფრთოვანებული და დამძიმებული ვარ დღევანდელი დღ-



ით. არაერთი თემატური საღამო გაიმართა ბიბლიოთეკის კვირეულის ფარგლებში. ეს ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ. კიდევ, მიხარია, რომ ბიბლიოთეკები აქტიურობენ, ჰყავთ ახალი თაობის მკითხველი. წიგნის სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია რამენაირი დონის განათლების მიღება. კომპიუტერისა და



სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში წიგნი მაინც შეუცვლელია და ეს მისასალმებელია. მინდა, ახალგაზრდებს მოვუწოდო, ბიბლიოთეკები აქციონ შეხვედრის ადგილად, რამეთუ წიგნის სიყვარული ახალგაზრდისათვის ადამიანობის, კაცურკაცობის, მაღალი სულიერი ღირებულებების კატალიზატორია.'' _ მიმართა საზოგადოებას გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა.

''რას გვერჩოდით, ქალბატონო მზია!'' _ ასე დაიწყო სათქმელი გამგეობის აპარატის უფროსმა ბეჟან გეგეშიძემ. ''მეამაყება, რომ გომის მკვიდრი, ლაშას თანასოფლელი ვარ. მოყვასისთვის თავის გამწირავი პირდაპირ სასუფეველში შევა. ეს უფალმა ადამიანს მისიად დაუწესა. ვისურვებდი, თუ სიკვდილი გვიწერია, გმირულად მოვკვდეთ! არ შეიძლება, აქედან გასულს საგმირო საქმის კეთება არ მოგინდეს.'' _ დასძინა მან.

მზია ჯინჭარაძე უკვე 45 წელზე მეტია, 1968 წელს მის მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს გომის თემში. 10 ათას წიგნად ფონდიან ამ სოფლის ბიბლიოთეკას, საჯარო სკოლასთან ერთად კულტურული ცენტრის დატვირთვა აქვს სოფელში. თითქოს მოინდომეს, თუმცა მისი გაუქმება მაინც შეუძლებელი გახადა ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა და მზია ჯინჭარაძის ერთობლივმა ძალისხმევამ. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაშიც იგი აქტიურად მუშაობს. კომპიუტერული ტექნიკით აქაურობაც არის აღჭურვილი, თუმცა, ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. გომის თემის მაჟორიტარი დავით ამაღლობელი და რწმუნებული ზაზა ნიკოლეიშვილი მათ ამ პრობლემის მალე მოხსნას დაჰპირდნენ. ''ამ ხნის მანძილზე არც ერთი კვირეული არ ჩამიგდია, განსაკუთრებული ღონისძიება რომ არ მომემზადებია. ვერ ვიტყვი ძველებური აქტიურობით, მაგრამ ახალგაზრდებიც მეგობრობენ წიგნთან. ვცდილობ, მათ განათლებაში ჩემი მარცვალიც ჩავდო.'' _ ამბობს მზია ჯინჭარაძე. იგი ახალგაზრდა თანამშრომელ ია გორდაძეზეც საუბრობს. კარგ ბიბლიოთეკარად აღვზრდიო, ამბობს. ახლანდელი ღონისძიების მოწყობაში მისი დამსახურებაც არის.

გომის თემში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა აქვთ. წიგნის კითხვა კი თუ აქაურ ბიბლიოთეკარებს დავუჯერებთ, ყველას თუ არა, აქაური ახალგაზრდების დიდ ნაწილს ნამდვილად არ ეზარებათ.

# ''...მე საქართველო ისეთი მინდა''...

ნათია ნაცვლიშვილი

ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე № 1 საქალაქო ბიბლიოთეკა არაერთი საინტერესო ღონისძიების მასპინძელი ყოფილა. არც ამჯერად გაგვიმტყუნეს მოლოდინი ამ ბიბლიოთეკის მკითხველებმა. ბიბლიოთეკარმა ნანა გოგიშვილმა ბიბლიოთეკის დაარსების ისტორია გააცნო შეკრებილთ, შემდეგ დარბაზს სთხოვა, წუთიერი დუმილით მიეგოთ პატივი ახლახან გარდაცვლილი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველის ნანი კვესელავასადმი.

''ღვთით კურთხეული საქართველო'' _ ასე ერქვა ღონისძიებას. მასში ის ბავშვები მონაწილეობდნენ, რომლებიც ბიბლიოთეკის ახლომდებარედ სახლობენ. ლიზი და ბადრი ხეთერელები, ხატია



მანჯგალაძე, სილვია წიქვაძე, ხურცილავა ლილი (№ 1 სკოლა), ჯინჭველეიშვილი თამუნა (მე-4 სკოლა), ეკატერინე, ელისაბედ, ანდრია ტურძელაძეები და ქელეხსაშვილი ელენე (წმ. მოწამე ნაზარი ლეჟავას სკოლა), ბაღდავაძე ნინო (მე-10 სკოლა), ვანო ყურულაშვილი (მე-12 სკოლა), ორმოცაძე ირაკლი, უღრელიძე საბა, ნადირაძე ნინო, მეგენეიშვილი ოლეგი, ნადირაძე დათო, ტორონჯაძე გიორგი (მე-11 სკოლა).

მრავალწლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონე ქალბატონმა, ისტორიკოსმა ნუნუ ლორიამ შესანიშნავად მიმოიხილა საქართველოს ისტორიის ტკბილ-მწარე პერიოდები, ისაუბრა 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის მნიშვნელობაზე. ეროვნული მოძრაობის ლიდერების, მერაბ კოსტავას და ზვიად განსახურდიას უდიდეს ღვაწლზე, 1989 წლის 9 აპრილის მოწამეთა დაღვრილ უმანკო სისხლზე, რომელმაც გამოაღვიძა ეროვნული თვითშეგნება. ''35 საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საუკუნე არ გვქონია თავდაცვით, ბრძოლები არ გვეწარმოებინა, იმპერია გვებრძვის რუსეთის სახით, კვლავ ცდილობს რუსული დერჟავა იმპერიის აღდგენას. დღეს აქტუალურია კითხვა: რა უნდათ ერაყში ქართველ სამხედროებს? მაშინ, როცა ევროპა ჯვაროსნულ ლაშქრობებს აწარმოებდა მაჰმადიანთა წინააღმდეგ, ქართველი მეფეები ყოველთვის ეხმარებოდნენ მათ, ჩვენ ყოველთვის გაგვაჩნდა უდიდესი ისტორიული ფუქნცია''. _ აღნიშნა გამომსვლელმა და ახალგაზრდებს მოუწოდა, უერთგულონ წინაპართა მიერ



დასახულ იდეებს, პატივი სცენ ეროვნულ გმირთა ხსოვნას, იკითხონ ბევრი, მიიღონ უნივერსალური განათლება რათა, მათ ხელში ჩვენმა ქვეყანამ კიდევ მეტ წარმატებას მიაღწიოს. მოსწავლეებმა საოცარი განცდით წარმოთქვეს პატრიოტული ლექსები, იმღერეს ქართული ხალხური სიმღერები, ეროვნული ცეკვებიც შეასრულეს. ''დავითს რომ ჰქონდა, თამარს რომ ჰქონდა, მე საქართველო ისეთი მინდაო'' _ მთავარ დევიზად დაისახეს პატარებმა.

დეკანოზმა მატათამ (ბერიძემ) ისაუბრა ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე კომუნისტურ წარსულში. ''ჩვენი ერისა და ეკლესიის ისტორია ურთიერთაგადაჯაჭვულია, ქართველი ერის სიძლიერე ყოველთვის მის რწმენაში იყო, წმინდა ილია მართალი ბრძანებს: ქართველმა სასულიერო პირებმა მამული, ეროვნება და რჯული ურთიერთს დაუკავშირეს. ბოლშევიკების პერიოდში უამრავი ეკლესია განადგურდა, მაგრამ აღსანიშნავია უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის უდიდესი ღვაწლი ეკლესია-მონასტრების მშენებლობის საქმეში''. _ აღნიშან მოძღვარმა.

1991 წლის 9 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობას განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი დარბაზში მყოფმა ჯონი ნადირაძემ, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა და სამტრედიის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელმა, მან მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკარებს ნანა გოგიშვილს და ნინო შანიძეს, ბავშვებს საინტერესო ღონისძიებისთვის და უსურვა არასოდეს განალებოდეთ ის სულისკვეთება, რითაც იმდღევანდელი მათი ღონისძიება იყო გაჯერებული.





ლეო კვაჭაძე (მარცხნიდან), აკაკი შანიძე, ალექსანდრე ღლონტი

# ბრძენმსიტყველი

*''...ცხოვრებდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია.''*
***დავით გურამიშვილი***

უფროსი თაობისანი იტყვიან ხოლმე, ჩვენი სალხენ-საცდური უკვე ვნახეთ საწუთროშიო. საუკუნეს რომ უკან მოიტოვებ, ალბათ, ამას მეტი თავდაჯერებით ამოთქვამ.

ასაკი დაამარცხა ლევან კვაჭაძემ, უფრო სწორად _ ბატონმა ლეომ.

რით საზრდოობდა? _ კითხვა ოდენ უხეში პირობითობა იქნება.

მთაში სიწმინდეა დღესაც, გასულდიდებაში ხელშემწყობი სიმშვიდე, ცალად მყოფიც ვერ იგრძნობ მარტოობას.

უცილობლად მშობლიური სვანეთიდან ჩამოყოლილი ფიქრი იკმარა სულის დასაპურებლად წიგნიერების კარიბჭესთან მოსულთა ''მესტუმრემ''. დიახ, მასპინძელმა _ აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, ვარლამ თოფურიას... კვალში ჩამდგარმა.

ბატონი ლეო კვაჭაძე არ შეუშინდა ''ფრიად სამკალს''.

გამოწვლილვითი მეცნიერული ძიებით ''უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩუენთა''.

...და მკვლევარი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისა იწოდა მადლმოსილ მუშაკად!

100 წელი მიეფარა თვალს...

ტანის სიმრთელეს, ჯანს არც მაშინ გასწყრომია, თუმცა კი ''ჭირისჭირი სიბერით'' შეეცნო, მიახლოებოდა ''ოხჭანი ამის ცხოვრებისაჲ''.

სიბერე სიკვდილ-სიცოცხლის გაყრის მაახლოებელი მაცნეაო, _ უთქვამს.

თავადაც მაცნე ბრძანდებოდა...

სახე გონებრივი სინათლისა, გამორჩეულობისა, ''დავითიანისეული'' ბრძენმსიტყველობისა...

**შოთა კაკავა**

# "მას იმეორებს მკაცრი სვანი, გმირი ხევსური..."

ნათია ნაცვლიშვილი

***ხელიხელსაგოგმანებელი – ეს ეპითეტი მიუსადაგა მადლიერმა შთამომავლობამ შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას. "პოემა ვეფხის, პოემაა გრძნობის მზიურის, სიყვარულის, თავდადების, გმირობის, სიბრძნის" მისებურად ლაკონურად და გენიალურად ბრძანა გალაკტიონმა. ამჯერად საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ წმინდა მოწამე ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთა შემაჯამებელ გაკვეთილს უმასპინძლა. თემა – "ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი".***

ეს გასვლითი გაკვეთილი მართლაც შთამბეჭდავი იყო. ველოდით კიდეც, რომ საუკეთესო ფილოლოგი, ნინო ტონია მისებურ, ღრმაშინაარსიან საინტერესო გაკვეთილს ჩაატარებდა. გაკვეთილი-ღონისძიება მართლაც ინფორმაციულად დატვირთული გამოვიდა. ბევრი აკადემიზმი, ცოტა – ლირიზმი. ასე შეიძლება შეფასდეს იგი. მოსწავლეებმა პოემის შესაშური აკადემიური ცოდნა გამოავლინეს. მათ საგაკვეთილო პროცესში მომზადებული რეფერატები წარმოადგინეს, იმსჯელეს ამ მრავალმხრივად საინტერესო ლიტერატურული ტექსტის გარშემო. შესანიშნავად გააზრებული მასალა საშუალებას აძლევდათ, არა კონსპექტებში ჩაჭყეტით და ხელში ფურცლების ფრიალ-ფრიალით, არამედ, სხარტად გადმოეცათ ამა თუ იმ მეცნიერის მოსაზრება და დარბა-



ზიდან სპონტანურად დასმული კითხვებისთვისაც ამომწურავი პასუხები გაეცათ.

ღონისძიება ჩვენმა კოლეგამ, საბიბლიოთეკო ღონისძიებათა ხშირად წარმმართველმა, ლევან გაბეჩავამ გახსნა და განაცხადა:

"გასული წლის შემოდგომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი უწყების, იუნესკოს მიერ 2016 წელი მსოფლიოში "ვეფხისტყაოსნის" წლად გამოცხადდა. თუმცა, არანაირი ტიტულოვანი და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მითითება ქართველ კაცს არ უნდა სჭირდებოდეს და არც სჭირდება, გულის ფიცარზე გვეწეროს ის სიბრძნე, რასაც ქართველთა ხელიხელსაგოგმანებელი "ვეფხისტყაოსანი" ღაღადებს უკვე საუკუნეთა მანძილზე. საქართველოს მეფე თამარის ეპოქას მეისტორიე ოქროს ხანად მოიხსენიებს. სწორედ თამარის ეპოქაში დამკვიდრებულმა სტაბილურმა პირობებმა განაპირობა ის, რომ კულტურული ცხოვრება მაღალ ნიშნულზე ავიდა. სწორედ თამარის ეპოქაში ამოსაქართველოოვდა დიდი შოთა რუსთველი, რომელმაც უიღბლო სიყვარულს და თამარის მეფობას, თვით თამარს, უძღვნა გენიალური "ვეფხისტყაოსანი". აღნიშნა ღონისძიების წამყვანმა და ასპარეზი საინტერესო გაკვეთილს დაუთმო, თანაც დასძინა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრებმა, გიორგი და ნინო ტონიებმა რუსთველოლოგიაში გარკვეული წვლილი შეიტანეს. ნიშანდობლივია, რომ ღონისძიებას სწორედ წმ. ნაზარი ლეჟავას სახელობის სკოლის პედაგოგი ნინო ტონია წარმართავს". "დღეს ვაჯამებთ ჩვენს ცოდნას როგორც პოემის ფაქტობრივი მასალების თვალსაზრისით, ასევე, რუსთველოლოგიური შეხედულებებისა და მისი ასპექტის მხრივ. მოვამზადეთ რეფერატები, თუმცა გვაქვს სხვა რესურსები წინა შემაჯამებელი მეცადინეობისაგან. ბიბლიოთეკამ გამოხატა კეთილი ნება, კარი გაეღო ამ გაკვეთილისათვის. ეს არის მნიშვნელოვანი როგორც ზოგადად სკოლის ცხოვრებაში, ისე საბიბლიოთეკო ისტორიაში. ვინ იყო შოთა რუსთველი, რა არის რუსთველოლოგია, რა შეხედულებები, კონცეფციები, კონცეპტები არსებობს ამ მეცნიერებაში, მეტ-ნაკლები სიზუსტით შეიძლება ამის აღნუსხვა და გადმოცემა, თუმცა, შევეცდებით, გარკვეული რეჟიმით მაინც გადმოგცეთ ჩვენი ცოდნა". – აღნიშნა ნინო ტონიამ.

მოსწავლეებმა ისაუბრეს რუსთველოლოგიის ფუძემდებლად მიჩნეულ ვახტანგ მეექვსეზე, გაგვაცნეს ექვთიმე თაყაიშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, ალექსი ჭინჭარაულის, ზვიად გამსახურდიას, ალექსანდრე ბარამიძის, სარგის ცაიშვილის, დავით ჩუბინიშვილის, ნიკო მარის და სხვა მკვლევართა მოსაზრებები პოემის შესახებ. ნიკო მარი "ვეფხისტყაოსანს" ნათარგმნად მიიჩნევდა და ეძებდა შოთას თარგმანს სომხეთსა და სპარსეთშიო, – აღნიშნეს მოსწავლეებმა და თანამედროვე ლიტერატორის, გია მურღულიას სიტყვებით გასცეს პასუხი მარის მცდარ მოსაზრებას: "ვერ იპოვიდა იმას, რაც არ არსებობდა". გაიხსენეს აკაკი წერეთლის მოსაზრებები "ვეფხისტყაოსნის" გმირების ქართული წარმომავლობის შესახებ. გაიხსენეს ემიგრანტი რუსთველოლოგების, ვიქტორ ნოზაძისა და ისიდორე მანწკავას მოსაზრებები. ისაუბრეს იმ ღვაწლზე, რაც ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა გასწია, იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში.

"ამაოდ დაშრომას" უწოდებდა ავტორის შრომას ანტონ კათალიკოსი, ასევე ეწინააღმდეგებოდა პოემას ტიმოთე გაბაშვილი და ამბობდა "მთქმელი ლექსთა ბოროტთა". ეს მოსაზრებებიც გააჟღერეს მოსწავლეებმა, ვრცლად ისაუბრა ლილე ადეიშვილმა "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრატორებზე, ამ მოსწავლის ილუსტრაციებიც ამშვენებდნენ იმ დღეს ბიბლიოთეკას. მოსწავლეებმა ასევე წარმოადგინეს მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია, პედაგოგმა ზვიად გამსახურდიას "ვეფხისტყაოსნის სიმფონიიდან" ულამაზესი სტროფით დაასრულა გაკვეთილი.

გაკვეთილი მოიწონეს დამსწრეთ, განსაკუთრებული კმაყოფილება მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილმა გამოთქვა.

შთამბეჭდავი გამოსვლა ჰქონდა ჩვენს უმცროს კოლეგას, მხატვარ-კარიკატურისტს, შოთა პაპავას:

"კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის." – ქადაგებს რუსთველი.

არაერთი პედაგოგი გვინახავს, ბევრი მეენისთვისაც მოგვისმენია, მაგრამ სიტყვიერების მასწავლებელი ამდენად მარჯვედ ეხიდებოდეს მოწაფეს – იშვიათია. ყველაფერ ამისთვის გმადლობთ, ქალბატონო ნინო! გეტყვით მელექსისავე მიბაძვით: ამა დღისა "მაქებელთა ათასიმცა ენა ენდა".

ნათელია, თქვენს მოსწავლეებს "მწვრთნელი უყვართ" და, ვითარცა თინათინი, "სწავლასა ყურსა უპყრობენ... წვრთასა არ მოიწყინებენ!"

მართლმადიდებლური სკოლის დირექტორმა, ნატალია კოპალეიშვილმა უამრავი მადლობა მიიღო საუკეთესო გაკვეთილის გამო, რომელიც სკოლამ წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ ნინო ტონიას ნიჭიერება და პროფესიონალიზმი "სცილდება სასკოლო სივრცეს, ნინოს დიდი აუდიტორებიც მოუხდებოდა".

გაკვეთილი მოიწონა ღვაწლმოსილმა ქალბატონმა, ნათელა გელეიშვილმა. "ბედნიერი ვარ, რომ გვყავს ეს მოსწავლეები და მასწავლებელი". – აღნიშნა მან. მინდა მადლობა მოვახსენო ქალბატონ ნინოს და მოსწავლეებს". "არის შეხედულება, რომ ისტორია არის ადამიანთა ფიქრის გაფორმება. ხოლო გენიოსები ამ ისტორიაში მარადისობის გზავნილებს იძლევიან. სწორედ ასეთი მარადისობის გზავნილია რუსთველის "ვეფხისტყაოსანი", რომელიც თავისი გნოსეოლოგიური ასპექტით, თავისი შეხედულებებით და მსოფლმხედველობითი ჰორიზონტებით ძალიან დიდია და მასშტაბური. ეს გვაფიქრებს იმას, რომ ჩვენ გვყავდა უდიდესი მამულიშვილი, რომელმაც შექმნა პროტორენესანსული და შემდგომი ხანის ერთ-ერთი შედევრი. გამოითქვა მოსაზრება, თითქოს ეკლესია "ვეფხისტყაოსანს" ეწინააღმდეგებოდა. მინდა ერთი რამ ვთქვა, რაც ისედაც ცხადია თქვენთვის, ეს არ იყო ეკლესიის ზოგადი პოზიცია და დამოკიდებულება, ეს იყო ამა თუ იმ კონკრეტული იერარქის სუბიექტური დამოკიდებულება. ანტონ კათალიკოსი ძალიან მიკვრის, გაბაშვილი კი ნაკლებად მიკვირს. მე-20 საუკუნეში ეფრემ მეორე სიდამონიძის დროს, თუ არ ვცდები მან დაწერა სტატია, სადაც "ვეფხისტყაოსანს" ამართლებდა, როგორც ლიტერატურულ შედევრს. ჩემი აზრით, იგი არა თუ მიუღებელია ეკლესიისთვის, არამედ ისაა ბიბლიის ლირიკული პერიფრაზირება. იქ ის აქსეოლოგიური თემებია გადმოცემული, მარადიული მნიშვნელობა რომ აქვთ." – აღნიშნა დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე).

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული მოსწავლეთა პარლამენტის წევრმა, ქეთევან აბრამიშვილმა მოსწავლეებს ამცნო იმის შესახებ, რომ ნინო ტონია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლშიც წარმართავს სალექციო კურსს "ვეფხისტყაოსანზე".

ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრებილთ, რომ მართლმადიდებლური სკოლის ბიბლიოთეკა რომ იწყებდა არსებობას, სწორედ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკიდან გაუგზავნეს სკოლას წიგნები. ყოფილ მოსწავლეს ნინო ტონიას კომპლიმენტი უხვად უძღვნა ფრანგულის პედაგოგმა, გულიკო გოგიტიძემ.







## პროგრამა "მომავალი თაობის" გამარჯვებული

დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საჭიროებს ისეთი თავისუფალი, დამოუკიდებელი, კომპეტენტური პიროვნების აღზდას, რომელიც კონკურენტუნარიანი და წარმატებული იქნება სწრაფად ცვალებად სამყაროში. სამოქალაქო განათლების ძირითადი მიზანია მოსწავლეებისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო აქტიურობის მნიშვნელობის გაცნობა; ახალგაზრდების დაფიქრება მოყვასის თანაგრძნობასა და მხარდაჭერაზე; მათი აღჭურვა თანამშრომლობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით.

სამტრედიის № 8 საჯარო სკოლა (დირექტორი ჟულიეტა ჩხაიძე) უკვე მეორე წელია აქტიურად თანამშრომლობს პროგრამა "მომავალის თაობასთან", რომელიც ხორციელდება ორგანიზაცია PH internatinal-ის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. 2015 წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო პროგრამის სამინისტროს მხარდაჭერით. 2015 წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ ტექნიკის კონკურსში, კონკურსში გამარჯვების შედეგად დაჯილდოვდა ლეპტოპით. იმავე წელს იმავე პროგრამით საგაზფხულო ბანაკში იმყოფებოდა ჩვენი სკოლის მოსწავლე ანა შენგელია.

2016 წელს პროგრამა "მომავლის თაობის" ფარგლებში გამოცხადდა მცირე საგრანტო კონკურსი. სკოლამ მონაწილეობა მიიღო ამ კუნკურსში. კონკურსის დასრულების შემდეგ იმერეთის რეგიონში დაფინანსდა სამი პროექტი, მათ შორის ჩვენიც, საგრანტო თემა იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. პროექტის სახელწოდებად ავიღეთ "ზრბოდ ქცეული საზოგადოება". პროექტის მიზანია: სამოქალაქო განათლების სწავლების ამაღლებისათვის, მოსწავლეთა დაინტერესებისა და ჩართულობისათვის სამოქალაქო განათლების კაბინეტის აღჭურვა პროექტით, ასევე ქალთა ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა პრობლემისადმი. პროექტის ფარგლებში მოეწყო პროექტის პრეზენტაცია, მიმდინარეობს სამოქალაქო განათლების კაბინეტის კეთილმოწყობა, დაგეგმილია ტრენინგი "კანონმდებლობა და ქალთა ძალადობა" (ტრენერი იურისტი სოფიო დარჯანია). კვლევა შეეხება ქალთა ძალადობისა და საზოგადოების დამოკიდებულებების ასევე გათვალისწინებულია თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგი, გაიმართება დისკუსია. ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი სამოქალაქო განათლება-ქართული ენა და ლიტერატურა (პედაგოგები: მარინე აბუთიძე, ელენე გიორგაძე), ნაჩვენები იქნება ნაწყვეტი ფილმიდან "ნატვრის ხე". მოსწავლეთა ინიციატივით მომზადდება საინფორმაციო ბუკლეტები და გავრცელდება საზოგადოებაში, ბოლოს მოხდება პროექტის შეჯამება.

მარინე აბუთიძე
სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

# იქნება ვეფხის დედაი ...

**თეა ბაბუნაშვილი**

***"ჩემზე მწარედა სტირისო" _ მოყმის დამკარგავმა დედამ. ქართული ხასიათის, სულიერების სიმბოლოდ ქცეული "ლექსი ვეფხისა და მოყმისა" დიდი სცენების, ცნობილი რეჟისორებისა და მსახიობების დარად, რა თქმა უნდა, მოკრძალებული ამბიციებითა და დიდი ემოციებით, დიდი ჯიხაიშის #1 საჯარო სკოლის სცენაზე მეცხრეკლასელებმა დადგეს. რეჟისურა, სცენოგრაფია, დრამატურგია, მხატვრობა, მუსიკალური გაფორმება, დეკორაცია ... ვინ იქნებოდა ამ ყველაფრის ავტორი, თუ არა თამაზ ნუცუბიძე, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.***

მკითხველს არაერთხელ უნახავს მისი ღონისძიებების ანალიზი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ისიც იცის, დიდი სცენის მტვერნაყლაპი პედაგოგი მშობლიური სკოლის სცენაზე რომ ასხამს ფრთებს საკუთარ გატაცებას. მისმა მცდელობამ შედეგიც გამოიღო. მესხიშვილის სახელობის თეატრში ხშირი სტუმრობის, არაერთი ინსცენირების, გაკვეთილების მსვლელობისას თეატრალურ ხელოვნებაზე არაერთგზის საუბრების შედეგად, მისმა ერთმა მოსწავლემ თეატრალურ ინსტიტუტს მისცა უპირატესობა პროფესიის არჩევისას, რამდენიმე კი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში დადგმული სპექტაკლების მონაწილე გახდა.

"ვეფხი და მოყმე" იმიტომ, რომ სულ ახლახან "ქართული ენის დღე" აღნიშნა ქვეყანამ, თანასოფლელების მოსაგონრადაც, რადგან დიდი ჯიხაიში არის სოფელი, საიდანაც არაერთმა ვაჟკაცმა ახალგაზრდა სიცოცხლე ქვეყნის სამსხვერპლოზე მიიტანა აფხაზეთში. ძაძა ჩაიცვეს მათმა დედებმა და ახლაც ცრემლგამოშრალი თვალებით შვილებს დასტირიან.

"აპრილის დასაწყისში ერთი დღე განსაკუთრებული სიყვარულით მიუძღვნა ქვეყანამ დედებს. დედა კულტია საქართველოში და მისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ასეც გამოვხატეთ. მერე ენის დღე აღვნიშნეთ. რა, თუ არა ქართული ფოლკლორი, უპრიანი გახლდათ ამ თარიღზე გამოსახმაურებლად. ამ ყველაფერთან ერთად, ეს ღონისძიება შვილმკვდარ დედებს მივუძღვენით, ასე მრავლად რომ არიან ჩვენს სოფელში. მათი შვილების უმეტესობამ აფხაზეთში დატოვა სიცოცხლე. ეს თემა, და განსაკუთრებით აფხაზეთის თემა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია." _ ღონისძიების მოწყობის მიზეზზე საუბრობს ავტორი თამაზ ნუცუბიძე.

და კიდევ ერთი, მთავარი და ძალიან მტკივნეული, იქნებ შედეგიც კი იმის, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოყვრად მოსულმა მტერმა, სამოქალაქო ომის პირშეუკვრელმა იარამ მოიტანა. ეს მხოლოდ გაუნათლებლობის კი არა, ეროვნულობისადმი ზერელე დამოკიდებულების და გაუცხოების ბრალიც არის ალბათ. აღშფოთებას ვერ ფარავდა დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლის, ანუ ერთ-ერთი ქართული სოფლის სკოლის პედაგოგი თამაზ ნუცუბიძე: "უნივერსიტეტის სტუდენტებში ჩატარებულმა გამოკითხვამ დაგვანახა, რომ 10-დან ორმა-სამმა სტუდენტმა არ იცის, რას აღნიშნავენ 14 აპრილს, რა მოხდა 9 აპრილს საქართველოში. და ეს ჯავახიშვილის სახელობის, ანუ იმ უნივერსიტეტში, სადაც ყოველთვის ყვაოდა ქართული სული! სოფლის სკოლაა ჩვენი სკოლა, მაგრამ ნახეთ, გააჩერეთ ნებისმიერი მოსწავლე, თუ არ იცის ამ თარიღების მნიშვნელობა. ხაზს ვუსვამ _ ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მოსწავლე! ეს კია სირცხვილი და უპირველესად, დამაფიქრებელი!"

სცენაზე კი "შეიბნენ ვეფხი, მოყმეი ... ფარსა უფარებს, ვერ ფარავს, ვეფხვი ჩქარია კლდისანი. მოყმემაც ხელში იყარნა, ვადანი თავის ხმლისანი." მერე "ვეფხი კლდით გადაეკიდა, ჩამააწითლა ქვიშანი. თაოდ კლდის თავზე შამაწვა, მოყმე სულამამდინარი." და ... "ვინ ეტყვის მაგის დედასა..." "იარებოდა დედაი ტირილით თვალცრემლიანი. არც ვეფხი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი." ბალადის კულმინაცია ამ ინსცენირებაშიც კულმინაციური გახლდათ _ "იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა...!" და სამძიმრის სათქმელად მისული შავოსანი დედა თანამედროვეობის შესატყვისი იმპროვიზაციით არ ამოთხრის და თავისთან, უკვე დანარჩენ საქართველოში, არ წამოიღებს შვილის ცხედარს, ის იქ დარჩება მშობელ მიწაზე, ისე, როგორც აფხაზი და ქართველი ძმების საფლავებია გვერდიგვერდ ჯერჯერობით ისევ დაკარგულ მშობელ მიწაზე. მერე აფხაზი და ქართველი დედების მსგავსად ერთად გოდებენ შვილებს ვეფხვის და მოყმის დედები, რადგან დედა დედაა, მტრისაც და მოკეთისაც. ერთია, მტერი ვეფხვივით "ღირსეული" ზეუმის თანაშრომელი გულიკო ზარბაზოია ემოციების გარეშე ვერ ამბობდნენ სათქმელს. როცა თამაზ მასწავლებელზე საუბრობ, სკოლისა და პროფესიისადმი მისი თავდადება უპირველესად აღსანიშნავი საკითხია. _ ერთხმად ამბობდნენ სიტყვით გამომსვლელები. იყო ტაში და ოვაციები სკოლის მსახიობებად ქცეული აღსაზრდელების მისამართით. მერე ცოტა ხნის წინ გამართულ კიდევ ერთ ღონისძიებაზე ჩამოვარდა სიტყვა. მართალია, მას არ დავსწრებივართ, მაგრამ "მუსიკა და გალაკტიონი" ის თემა გახლავთ, თამაზ ნუცუბიძე გულს და სულს გალაკტიონისეულად რომ ჩადებდა.



იქნებოდეს ნეტავ, ბრძოლა რომ შესძლოს, ქართველს რომ შეეფერება ისეთი. ღირსეულ ბრძოლაში სიკვდილი კი არ ენანება მოყმეს სამშობლოს სამსხვერპლოზე.

ბალადად "ვეფხის და მოყმის" მსგავსად, წინაპართა საგმირო საქმეებს ქართული ეპოსით არაერთს ასწავლის თამაზ ნუცუბიძე მოსწავლეებს. თვლის, რომ ქართველად დაბადებულების ქართველობა ოჯახიდან და სკოლიდან იწყება.

რა თქმა უნდა, მოიწონეს, ბევრმა დარბაზში ჩუმი ცრემლიც გადაყლაპა. სკოლის დირექტორი მანანა ხაზალია, პედაგოგები ნინო რუხაძე და ზურაბ ფანცულაია, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუ-

ამჯერად კი, "ერთ შვილ ხომ მაინც გაგზარდე, ვეფხვებთან მეომარია..."; "ლაშქარში, მეგობრობაში არ იყავ საწუნარია..." დედობას და შვილობას, ქართველობას ასწავლიდა ქართული ბალადა თვალსა და ხელს შუა დაფრთიანებულ გოგო-ბიჭებს, ხვალ ღირსეული მტრობა და მეგობრობა რომ უნდა შესძლონ სამშობლოს მტერ-მოყვარისა, რომ არ უნდა დაავიწყდეთ შამქორი თუ ბასიანი და ისიც, 14 აპრილს, ან 9 მაისს რა მოხდა საქართველოს უახლეს წარსულში!

# "შენ წიგნები შეიყვარე გულით"

**ნათია ნაცვლიშვილი**

***მე-3 საჯარო სკოლაში ჩვენი სტუმრობის მიზეზი ნიჭიერი პირველკლასელის, ნინი ბაბირის საინტერესო ინიციატივის კვალდაკვალ მომზადებული ღონისძიებაა. ნინის ამ საინტერესო იდეას მიესალმნენ პირველი კლასის პედაგოგი მარეხ თევზაძე, სკოლის დირექტორი ვენერა ივანიშვილი, ნინიმ კლასიც აიყოლია და მისი პირველი სასკოლო აქტივობაც შედგა.***

***სკოლის ბიბლიოთეკაში მისულ ნინის სულხან-საბა ორბელიანის ლამაზი ილუსტრაციებით გაფორმებული იგავ-არაკების წიგნი არ დაუხვდა და მაშინვე გაუჩნდა იდეა, სკოლის ბიბლიოთეკა თავადვე გაემდიდრებინა რამდენიმე სხვადასხვა ჟანრის წიგნით. აქციას სახელად უწოდა "მე მიყვარს კითხვა".***

"ჩემთან კაბინეტში მარტო მოვიდა პატარა გოგონა და მითხრა ღონისძიება მინდა ჩავატაროო. ვკითხე, რა ღონისძიება სურდა. დამიკონკრეტა, რომ სურდა სკოლის ბიბლიოთეკისათვის საჩუქრად გადაეცა წიგნები. ვკითხე, იცოდა თუ არა მისი ინიციატივის შესახებ დამრიგებელმა, არა, თქვენ გეწვიეთ პირველადო, მიპასუხა. პედაგოგს და კლასს გავაცანით ეს იდეა, შემდეგ მარეხ მასწავლებელი დაეხმარა მათ და განუმარტა, რადგან 23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღეა, უმჯობესი იქნებოდა აქცია სწორედ ამ დღისთვის დაემთხვიათ, ასეც მოიქცნენ. რადგან პატარა ნინი და მისი მეგობრები თავადვე არიან ამ საინტერესიო იდეის ინიციატორები, მჯერა წიგნთან მუდამ ახლოს იქნებიან და კარგ მკითხველებად ჩამოყალიბდებიან." _ გვეუბნება ქალბატონი ვენერა ივანიშვილი.

მარეხ მასწავლებელს არ უკვირს ნინის ასეთი აქტიურობა, ამბობს, რომ ის ყოველთვის საინტერესო აზრებს გამოთქვამს.



მარეხ თევზაძე: "არაჩვეულებრივი ნაკადია, ჯგუფში სულ 22 ბავშვია და მჯერა, ამ ბავშვების სახით სკოლას ღირსეული ცვლა ეყოლება, როგორც კი ანბანის შესწავლას მორჩნენ, თავადვე გამოთქვეს ბიბლიოთეკაში მისვლის სურვილი. დაწყებითის ყველა კლასი ჩაერთო ნინის მიერ მომზადებულ ამ ღონისძიებაში და ყველამ უსახსოვრა დღეს წიგნები ბიბლიოთეკას".

როგორც სკოლის ბიბლიოთეკარი, მზია ულრელიძე გვეუბნება, მათი წიგნადი ფონდი 15 000-ია. ნინის ინიციატივას ქალბატონ მზიასთან ერთად სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მარინა ნადირაძეც იწონებს. ამბობს, რომ ბავშვებმა ჟანრობრივად იმდენად მრავალფეროვანი წიგნებით გაამდიდრეს ბიბლიოთეკა, მათი წაკითხვა არა მარტო პატარებს, დიდებსაც ძალიან არგებთ.

ნინი ყველა საგნით ერთნაირად ინტერესდება, უყვარს ასტრონომია, ერთ პარალელსაც ავლებს ასტრონომიასა და ყოფით რეალობას შორის და გვეუბნება: "მზის სისტემის 9 პლანეტისაგან ვენერა ერთ-ერთია, იგი მზესთან ახლოსაა, ამიტომაცაა ჩვენი ვენერა დირექტორი თბილი".

ნინის ბებია, ნატალია გოგიშვილიც და ნინის დედაც ნათია კაჭარავაც მე-3 სკოლის კურსდამთავრებულნი არიან. ქალბატონი ნატალია ამ სკოლის პირველი გამოშვებაა, წლების წინ ამ სკოლაში მე-5 კლასს ბუნებას ასწავლიდა, ის პროფესიით აგროქიმიკოსია, მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში სახელმწიფო მართვის კათედრაზე, მთავარ სპეციალისტად, შემდეგ ადმინისტრაციაში, ხარისხის მართვის სამსახურში სპეციალისტად. ნინის დედა ნათია კაჭარავა სამართლის მაგისტრი, სოციალურ მეცნიერებათა ახალგაზრდა დოქტორია, ნინის ბებია-ბაბუა ექიმები არიან. ბაბუა, კარლო კაჭარავა პროკურორი იყო, ამჟამად საადვოკატო საქმიანობას ეწევა. მომავალ პროფესიაზე მსჯელობა ნინისთვის ჯერ ადრეა, თუმცა, ნიჭიერი და ინიციატივიანი, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე გოგონა, გვჯერა, ღირსეულ სიტყვას იტყვის მომავალში. წიგნი ცხოვრების საუკეთესო თანამგზავრად მან უკვე აირჩია, ნიჭიერებასთან შეხამებული შრომისმოყვარეობა კი საბოლოო ჯამში წარმატების უპირობო გარანტი იქნება. ზურგის ქარი ვუსურვოთ ნინის და მის მეგობრებს, რომლებმაც ხვალის საქართველო უნდა ჩაიბარონ!





"ნინი დამოუკიდებლად მეცადინეობს, მოემზადება და მერე გვეუბნება, ჩავიბაროთ გაკვეთილი. რას იზამს მომავალში, არ ვიცით, ისე კი დიდი ქალბატონივით აზროვნებს". _ გვეუბნება ნინის ბებია, ნატალია გოგიშვილი.

სკოლის ბიბლოთეკარმა არც ერთი მოსწავლე, რომელმაც წიგნები აჩუქა ბიბლიოთეკას, უსაჩუქროდ არ გაუშვა. მათ ფერად ბუშტებთან ერთად გადაეცათ ბუკლეტები, სადაც სრულად იყო განმარტებული წიგნის საერთაშორისო დღის მნიშვნელობა.

# დედამიწა ჩვენი დიდი სახლია








ნინო ნანიტაშვილი

დედამიწის დღეს მე-7 საჯარო სკოლა საინტერესო აქტივობით გამოეხმაურა. ბოლო რამდენიმე წელია, მსგავსი ღონისძიებებით ქალაქის განაპირას მდგარი სასწავლო დაწესებულება ყურადღებას იპყრობს და სტუმართა დამსახურებულ მოწონებასაც იმსახურებს. წელსაც ასე მოხდა: ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ელისო სტურუამ რამდენიმე კლასის მოსწავლეთა ერთობლივი ღონისძიების ჩატარება ეზოში გადაწყვიტა. სცენად სხვადასხვა კლასის სკოლის შენობაში შესასვლელი კიბეები გამოიყენა და მოწვეული საზოგადოების წინაშე საუბარი საჭირბოროტო თემით დაიწყო. სწორედ იმით, რომ ჩვენი პლანეტა არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია, ვიდრე ძალიან ბევრს ჰგონია. ან არადა, თუ არ ჰგონია, არ უფრთხილდება და დედამიწა თავიანთი დაუდევრობით კატასტროფამდეც კი მიჰყავთ. ზუსტად ასე ფიქრობს მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლე, ღონისძიების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე საბა დუნდუა: ''დედამიწა ''ცოცხალი არსებაა''. მას მუდმივად სჭირდება მოფრთხილება. მის ბინადართაგან არც ერთი ცოცხალი არსება ისეთ ზიანს არ აყენებს მშობლიურ პლანეტას, როგორსაც ჩვენ, ''ცივილიზებული და მოაზროვნე'' არსებები. ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვინც არ იცის, თუ რა საფრთხე ემუქრება დედამიწას, თუკი გარემოზე არ ვიზრუნებთ. დაუდევარი მოქმედებების შედეგად ნადგურდება უნიკალური მცენარეები, ქრება ცხოველთა ბევრი ჯიში, ბინძურდება წყალი და ჰაერი, ზიანდება ოზონის შრე''.

ასეთი სულისკვეთებით ანთებული მოსწავლეები 5 წელია, 22 აპრილს სამტრედიის მე-7 საჯარო სკოლაში ტრადიციულად მართავენ დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. გარემოს გაჯანსაღებაზე მზრუნველი მოხალისეების ფერხულში ისინიც ჩაებნენ. ამის შესახებ ინფორმაცია თავად მე-7 სკოლელებმა მოგვაწოდეს: ''ჩვენი სკოლაც შეუერთდა იმ მოხალისეებს, რომლებიც უკვე 26 წელია ზრუნავენ გარემოს გაჯანსაღებაზე. ჩვენ ჩვენს მასწავლებლებთან ერთად ჩავებით იმ საქმიანობაში, რასაც დედამიწის დაცვა ჰქვია. ვცდილობთ, შევუნარჩუნოთ ბუნებას სიმწვანე და სისუფთავე, გავხადოთ ლამაზ და სასიამოვნო ადგილად. ის ხომ ჩვენი დიდი სახლია. ამას ჩვენ უკვე ტრადიციად ქცეული, ჩვენი ჩართულობითა და აქტივობით ვასაბუთებთ. უკვე ხუთი წელია, რაც 22 აპრილს შეუმჩნევლად არ ჩაუვლია ჩვენს სკოლაში.

ჩვენ, სამტრედიის № 7 საჯარო სკოლის მოსწავლეები, პირობას ვდებთ, რომ ვიზრუნებთ ჩვენს გარემოზე! ნაკლებად დავაზიანებთ ბუნებას და მოვუფრთხილდებით დედამიწას ჩვენივე კეთილდღეობისა და ჯანმრთელი მომავლისათვის''.

ახალგაზრდა პედაგოგის აქტიურობა მისასალმებელია უფროსი თაობის, უფრო მეტი გამოცდილების მქონე პედაგოგებისათვისაც. ელისო სტურუას დასახასიათებლად იმ დღეს სიტყვები არ ჰყოფნიდა საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგს, ნაზიბროლა ადეიშვილს: ''არაჩვეულებრივია ყოველთვის. ამ მხრივ მე-7 საჯარო სკოლა განებრივებული ჰყავს. არასოდეს არ გვთავაზობს მსგავს ღონისძიებებს, მუდმივად ახლის ძიებაშია. დედამიწის დღესთან დაკავშირებით, თუ არ ვცდები, წელს მე-5 აქტივობა გვიჩვენა. რომ ვიხსენებ შარშანდელსა და შარშანწინდელს, განსხვავებულები და ერთმანეთზე უკეთესები გამოუვიდა.

ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი პედაგოგი ელისო სტურუა მარტო შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობით არ კმაყოფილდება. მან თავისი მოსწავლეების მონაწილეობით დააარსა ინგლისურენოვანი გაზეთი, რომელსაც ყოველ კვირაში ერთხელ უშვებენ და ბავშვებისთვის ეს არის საუკეთესო რამ, რადგან ნორჩი ჟურნალისტები ზოგადად წერას სწავლობენ, იუმჯობესებენ სასაუბრო უცხო ენას. ვარ აღფრთოვანებული, რომ ახალგაზრდა მასწავლებლებში ელისოსნაირი პიროვნებები მოიძებნებიან''.

დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში თავიანთი როლები ჰქონდათ მე-7 საჯაროს სკოლის მასწავლებლებს. ისინი მოსწავლეებთან ერთად ეზოს გამწვანების აქციაში უყოყმანოდ ჩაერთვნენ. რაც შეეხება ღონისძიებას, შეფასებისთვის სკოლის დირექტორს, მარინა გოგიშვილს მივმართეთ: ''ძალიან კარგი ღონისძიება გამოგვივიდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ დედამიწას მართლაც სჭირდება გაფრთხილება, დღევანდელ პირობებში, როცა ასეა დაბინძურებული დედამიწა, მის დაცვაზე ადამიანებმა პატარაობიდანვე უნდა დაიწყონ ფიქრი. როცა ჰაერი დაბინძურებულია, მწვანე ნარგავების დარგვა საჭიროა ისევ ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. პატარაობიდანვე უნდა ისწავლონ ადამიანებმა ამის შესახებ, მიეჩვიონ ხეების დარგვას, შემდეგ მათ გაფრთხილებას, მოვლას. ამ კუთხით ჩვენი სკოლის მოსწავლეების აქტივობა არის ძალიან მაღალი. უხარიათ ღონისძიებები. გარდა იმისა, რომ ხეების დარგვით კარგ საქმეს აკეთებენ, სწავლობენ იმ აქტუალურ საკითხებს, რაც აუცილებელია მათი ცხოვრებისათვის''.

ვიდრე დღის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობაზე გადავიდოდნენ, ღონისძიების მონაწილეებმა რამდენიმე სანაგვე ურნა ზედ წარწერით საზეიმო ვითარებაში წარმოგვიდგინეს, მე-7 საჯარო სკოლაში ყოველდღიურად შემსვლელებს მის დანიშნულებაზე მიუთითეს: ''გთხოვთ, მოგვისმინოთ ყურადღებით. მოგახსენებთ, რომ სანაგვე ურნას აქვს თავისი დანიშნულება, მოვათავსოთ შიგ ჩვენთვის ზედმეტი, გამოუყენებელი ნივთები. ურნები განთავსდება სკოლის თითქმის ყველა შესასვლელში. უმორჩილესად გთხოვთ, ნაგავი მოვათავსოთ ურნებში. ამით დავიცავთ სისუფთავეს, მივეჩვევით წესრიგს და უფრო ლამაზები ვიქნებით''.

აქციის მონაწილეებმა რამდენიმე ლექსიც წაიკითხეს, რომელსაც შემეცნებითთან ერთად დამრიგებლური ხასიათიც ჰქონდა.

სულ ბოლოს პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად სკოლის ეზოში რამდენიმე ხე დარგეს, ვალდებულებად დაისახეს მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა.

# ''დედამიწა ავადაა, დედამიწას შველა უნდა''

ლევან გაბეჩავა







ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც 22 აპრილს ''დედამიწის დღეს'' მიეძღვნა და რომელიც მე-4 საჯარო სკოლის მე-3 პირველი კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს.

ლამაზად მოურთავთ სასკოლო ოთახი ცეროდენა გოგო-ბიჭებს.

მზეც ძალუმად აცხუნებდა და მთვარე და ვარსკვლავებიც აქ ''იყვნენ''. დედამიწა კი, ჩვენივე უგნურებით დაბინძურებული დედამიწა, მაინც ამაყად იჯდა შუაგულში და სატკივარს გამომეტყველებით ამბობდა.

ბევრ კითხვას გასცეს პასუხი მესამეკლასელებმა.

უცებ ცულმომარჯვებული მამაკაციც გამოჩნდა, თუმცა, საწადელს ვერ მიაღწია, შეაჩერეს, ხმამაღლა შესძახეს, ხის უნებართვოდ ჭრა არ შეიძლებაო.

ბაჯბაჯა დათუნია, ყურცქვიტა კურდღელი, ქორბუდა ირემი, დედამიწის სხვა ბინადარნიც აქ იყვნენ.

ნუ დავანაგვიანებთ ბუნებას, გარემოს, გავუფრთხილდეთ მდინარეებს, ღელეებს, ტბებსა და წყალსაცავებს...

სანაგვე ურნების ''მიტინგმა'' მოუწოდა ხალხს ნაგავი ურნებში და არა ქუჩებში დაყარეთო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის სიტყვებიც მოვისმინეთ მონიტორის მეშვეობით და დოკუმენტური ფილმიც ინტერესით ნახეს შეკრებილებმა დედამიწის _ ჩვენი საერთო სახლის გასაჭირს სადღეისო პრობლემებს რომ მიეძღვნა.

ლამაზი ღონისძიება ლამაზი სიმღერით დასრულდა.

უდავოდ მისასალმებელია, რომ დედამიწის დღეს პატარებმა კარგად მოფიქრებული საღამო მიუძღვნეს. მადლობას იმსახურებს მე-3 პირველი კლასის ხელმძღვანელი, ღონისძიების ორგანიზატორი, პედაგოგი, ქალბატონი ნანა ჯღარკავა, იგი ხომ 14 წელია ემსახურება საყვარელ პროფესიას, აღსაზრდელებს.

ამავე სკოლის მე-6 პირველმა კლასმაც უძღვნა ღონისძიება დედამიწის დღეს. იგივე პრობლემებზე, ოლონდ გაცილებით დამაჯერებლად, ასაკობრივი გააზრებით იმსჯელეს მეექვსეკლასელებმა საყოველთაო პრობლემებზე დედამიწას რომ უკავშირდება და მკაცრადაც გვითხრეს: დედამიწას გავუფრთხილდეთო. მეექვსეკლასელთა ღონისძიება პედაგოგებმა, ქალბატონებმა ხათუნა ახობაძე-ჩაჩუამ და ნანა ნიკოლეიშვილმა მოამზადეს.

ერთი სიტყვით, მე-4 საჯარო სკოლაში ეს დღე ჯეროვნად აღინიშნა, თუკი ეს პატარები და არა მარტო ისინი დანაპირებს ხორცს შეასხამენ და სიტყვას საქმედ აქცევენ, დედამიწა დიდხანს იტრიალებს...

# 2 მაისი მიცვალებულთა ხსოვნის დღეა!

## ყოველთვის კეთილად მოსაგონარი ბიბლიოთეკარები

გაზეთ "სამტრედიის მაცნეში" ჟურნალისტ ლევან გაბეჩავას წერილი წავიკითხე, "როდის არ კვდებიან ადამიანები". ჩემშიც "აიშალნენ ფიქრები" და წარსულში გადავედი. მინდა არაჩვეულებრივი ქალბატონები, სამტრედიელი ბიბლიოთეკარები გავიხსენო. მიდის დრო, თაობები იცვლებიან, მაგრამ წარსულს არ ვივიწყებთ. მათი ღვაწლი განუზომელია, მათ სახელთან ასოცირდება პროფესიონალიზმი, საქმისადმი თავდადება, სიკეთე, მეგობრობა, სიყვარული, წიგნიერება. ისინი წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ მკითხველებს.

**ნინა საყვარელიძე** _ საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე. მას საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, მთელ გულს დებდა ბავშვებში. მისგან ვსწავლობდით თანადგომას, მეგობრობას და სხვა ღირებულებებს.

ამავე ბიბლიოთეკაში მუშაობდა დარბაზის გამგედ ვენერა ვაჩეიშვილი, სპეციალობით ბიოლოგი. სიცოცხლით სავსე ქალბატონი, შესანიშნავი ღონისძიებების ავტორი. "აჭარული" ცეკვის უბადლო შემსრულებელი, ვახტანგ ჩიგოგიძის მეუღლე (კულტურის სახლის დირექტორი წლების განმავლობაში). მის ლამაზ ოჯახს დღეს ნოდარ ჩიგოგიძე მართავს ღირსეულად.

**ვენერა ვაჩეიშვილი** გვახსოვს, როგორც საბიბლიოთეკო საქმის კარგი მცოდნე. მან ხომ მრავალი შეხვედრა მოაწყო ჩვენი რაიონის ღირსეულ ადამიანებთან. იყო გამოფენების მოწყობის უბადლო ოსტატი. იყო ხიდი წიგნსა და მკითხველს შორის, ჩაუქრობელი სანთელი, რომელიც ყოველდღიურად საბიბლიოთეკო საქმიანობისთვის იღვენთებოდა. მუდმივად ახლის ძიებითა და სამზეოზე გამოტანით სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის სახეს წარმოაჩენდა. ბიბლიოთეკაში ყოველთვის მომღიმარი სახით შემოდიოდა. დედაშვილურ სითბოს არ აკლებდა ახალგაზრდებს, ესაუბრებოდა წიგნებზე. ის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ერთგულად და პატიოსნად ასრულებდა მოვალეობას. ყველას სატკივარი და სიხარულიც გულთან მიჰქონდა.

**ელიკო ხაინდრავა** _ წიგნთსაცავში მოფუსფუსე ბიბლიოთეკარი, უპრეტენზიო ქალბატონი, რომელსაც ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. პენსიაზე გასვლის შემდეგ მან ცხოვრება დედაქალაქში გააგრძელა.

**ლენა შანიძე** _ სარაიონო ბიბლიოთეკის გამგე. რესპუბლიკაში ცნობილი ბიბლიოთეკარი. მძიმე და რთული გზა განვლო მან. საპატიო ბიბლიოთეკარის ღვაწლი არაერთხელ იქნა აღნიშნული სიგელისა და ჯილდოს სახით. ლენა შანიძე იწვოდა საქმისთვის, გულით აკეთებდა ყველაფერს, ბევრს კითხულობდა. ღონისძიებებზე დამსწრეთ ყოველთვის ემახსოვრებათ სადად ჩაცმული, ხმადაბალა, მაგრამ კარგი ქართულით მოსაუბრე ქალბატონი ლენა, ომისა და შრომის ვეტერანი. მან პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობით. მერე გაიწვიეს სამამულო ომში. მონაწილეობდა სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციებში.

ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს და საზოგადოების წინაშე და პირნათელი წარსდგა უფლის სამსჯავროზე. მის აღზრდილ ბიბლიოთეკარებს, რომლებიც დღესაც იღვწიან საბიბლიოთეკო დარგში, კარგად ახსოვთ იგი, როგორც ნამდვილი აღმზრდელი, აღჭურვილი ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით. ის მუშაობას დიდი პედაგოგიური ტაქტითა და სამართლიანობაზე დაფუძნებული დისციპლინით წარმართავდა. მის ყოველ თანამშრომელს კარგად გვახსოვს ერთი შეხედვით მკაცრი, მაგრამ საოცრად გულთბილი ლენა შანიძე. იგი ჭეშმარიტად გახლდათ საბიბლიოთეკო გაერთიანების, ამ უწმინდესი დაწესებულების დიდი დიასახლისი. ყოველთვის ახლის ძიებაში იყო. ლენა გამორჩეული იყო ორგანიზატორული ნიჭით. უძღვებოდა 40-მდე საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკას. მაღალ დონეზე ატარებდა საბიბლიოთეკო სემინარებს.

სარაიონო ბიბლიოთეკის დარბაზის გამგე **ნინა ნიკურაძე**, უმაღლესი განათლების მქონე ბიბლიოთეკარი იყო. ლამაზი, მოწესრიგებული, მკითხველთან კარგად მოსაუბრე, ენერგიით სავსე. დაუზარელი ბიბლიოთეკარი მკითხველებისთვის დროს არ ზოგავდა. ნინასა და მის მეუღლეს ერთადერთი შვილი დარჩათ ჯონის სახით. მისი შთამომავალები ამჟამად თბილისში ცხოვრობენ და წარმატებული ბიზნესმენებიც არიან.

ყველას დაგვწყვიტა გული **ლია კამკამიძემ**, სრულიად ახალგაზრდამ, 46 წლის ასაკში დატოვა ოჯახი, სამსახური. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზში მუშაობდა. გულანთებული ზვიადისტი არ აკლდებოდა არც ერთ მიტინგს. თავის საქმეზე ფანატიკურად იყო შეყვარებული. პოეზიით საზრდოობდა. დასამახსოვრებელია მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები. მათ შორის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. უეცრად წავიდა ყველაფერზე გულდაწყვეტილი, ორი შვილის დედა. მოძალებულ სენს შეებრძოლა, მაგრამ ამაოდ, ერთი თვის გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად მანაც იმ ქვეყნად დაიდო ბინა.

კულაშის სადაბო ბიბლიოთეკაში სამი ბიბლიოთეკარი მუშაობდა: **გულიკო ახობაძე**, **ეთერ შენგელია**, **ციცო ცანავა**. სამივენი იმქვეყნიურ სასუფეველში გადასახლდნენ. კულაშის ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობდნენ მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები. ისინიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ მკითხველებს.

სამტრედიელებმა უამრავი ბიბლიოთეკარი გააცილეს უკანასკნელ გზაზე: ბაბულია ქოქრაშვილი, ლამარა რევიშვილი, ლილი შუბლაძე, ქეთო ახობაძე, თამარა ჩხიკვაძე, თინა ჭახნაკია, მარგო ხაჟალია, ლეილა არველაძე, ნუნუ გერგეშაია, ლიდა თევზაძე, თამარ ღაღანიძე, ეთერ გაგუა, ეთერ მამალაძე, მალინა მეიშვილი, თინა ნაფეტვარიძე. მათ სახელებს დავიწყება არ უწერიათ. ეს წერილი მათი მოგონებაა, მათი გახსენება.

მზია ჩიხლაძე

## მათ ხსოვნას დავიწყება არ უწერია

სამტრედიამ თავისი არსებობის მანძილზე მეტად რთული გზა განვლო. გასულ საუკუნეში სამტრედია წარმოადგენდა სამრეწველო ცენტრს. აქ მოქმედებდა ფაბრიკა-ქარხნები, მათ შორის: აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი, საკონსერვო, აგურის, ლიმონათის ქარხნები, ხის დამმუშავებელი, დაფნის, ხორცის გადამმუშავებელი კომბინატები და სხვა. მათ ხელმძღვანელობდნენ მაღალი კვალიფიკაციისა და ცოდნის მქონე ადამიანები: ლადო მხეიძე, ამბერკი ნიშნიანიძე, სერგო მეიშვილი, გრიშა ფრანგიშვილი, დავით ჩორგოლაშვილი, კოლია ხაჟალია, ჟორა ჯურხაძე, ვაჟა ყაჭეიშვილი, ვასო ქავთარია, ვიქტორ სურმავა, რეზო მელქაძე, შალვა სტურუა, ნოდარ ნიშნიანიძე, ამბროსი ნიკოლეიშვილი, გრიშა მინაშვილი, უშანგი ჟორჟოლიანი, დავით გელეიშვილი, ჟორა, ვალიკო და ვალერიანე კოპალეიშვილები, შალვა გოგავა, ვალიკო თურმანიძე, მოსე ცქიტიშვილი, დავით ნიკურაძე, რეზო რუხაძე, აპოლონ თაბაგარი, კიტა ბირკაია, ჟორა ჩხიკვიშვილი, სერგო თვალავაძე და სხვები.

წარმოების განვითარებისა და ტექნოლოგიური ზრდის ტემპები ითხოვდა მაღალკვალიფიციურ, უმაღლესი განათლების სპეციალისტებს. ისეთებს, რომლებიც დიდ წვლილს შეიტანდნენ საწარმოთა განვითარების საქმეში. სამტრედია ამ თვალსაზრისითაც არ განიცდიდა კადრების დეფიციტს. აი, ისინიც: ილია ოდილავაძე, საშა წილოსანი, ანდრო თევზაძე, გიგლა შაშიაშვილი, სიმონ ხაჟალია, ჯემალ კობახიძე, შოთა ქაჯაია, შოთა პაპავა, ჯანუსი ბოხუა, ოთარ წულუკიძე, ოთარ ცირეკიძე, ოთარ კაცაძე, ნოდარ ბახტაძე, ლევან ჩხეიძე, ჯემალ ტუღუში, გოგი ბახტაძე, ავთანდილ ნიკურაძე, თამაზ შუბლაძე, ოთარ ლეჟავა, თომა კიკაბიძე, რამაზ ქართველიშვილი, რაულ შენგელია, ზაურ ინასარიძე, ჯემალ კირთაძე, ავთო ლევიძე, გიული მანჯგალაძე, სლავა მიქაძე, რეზო წიქვაძე, იუზა სახოკია, ემელიანე ფესვიანიძე, გივი გახოკიძე, ოთარ ლოლაძე, გივი ახობაძე, ზურაბ ქვირია, იური ლეკვეიშვილი, იური გაბედავა, ომარ ბექაია, შოთა გალდავა, რეზო ლეჟავა.

მრეწველობის განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდათ სახელოვან ქალებს ასეთები იყვნენ: მანია შუბლაძე, თინა ჯვარშეიშვილი, დარეჯან კაკაბაძე, კირა სიტმალიდი, მედიკო კვინიკაძე, ზაირა ბოხუა, ციალა შენგელია, ჟენია ტორონჯაძე, პარასკევა გუნია, დიანა კვაჭაძე, ციალა ცქიტიშვილი, ლალი სტურუა, დარეჯან კობახიძე, თამარ კაკულია, ლილი მეგრელიშვილი, ოლია წივწივაძე, ლორეტა ნიკურაძე, თამარ შუბლაძე, ჟენია ჟვანია, თამარ კოხრეიძე, ქსენია თევზაძე, როზა გელეიშვილი _ ეს ქალბატონები ერთნაირი შემართებით ემსახურებოდნენ სამშობლოსა და ოჯახს.

სამრეწველო საწარმოთა განვითარებამ სამტრედია სამგზავრო და სამრეწველო ტვირთგადაზიდვების ცენტრად გადააქცია. დროთა განმავლობაში ქალაქში ჩამოყალიბდა სამგზავრო და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოები, სასოფლო და მშენებლობის სამინისტროს, ცეკავშირის ავტობაზები, რკინიგზის მუშათა მომარაგების ავტოპარკი და სხვა სამრეწველო საწარმოთა ავტოპარკები.

სამტრედიის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოთა პარკის მანქანებს იხილავდით თბილისსა და სოჭში, ბათუმსა და ფოთში, ასევე, ზუგდიდში, ხობში, მარტვილში, ხონსა და სხვა ქლაქებში. სატვირთო ავტოსაწარმო ძირითადად მშენებლობებს საამშენებლო კონსტრუქციებითა და ინერტული მასალებით ამარაგებდა. ავტოსატრანსპორტო საწარმოთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თავიანთ მოვალეობას კარგად ასრულებდნენ. ცეკავშირის ავტობაზა კი სამრეწველო ნაწარმითა და კვების პროდუქტებით ამარაგებდა დასავლეთ საქართველოს. ამ კოლექტივების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი კარგად ასრულებდნენ საპატიო მოვალეობას. მათ სათავეში იყვნენ გამოცდილი, მცოდნე, ძლიერი ადამიანები: გივი ნიკურაძე, ზურაბ შენგელია, თენგიზ ფხაკაძე, დემურ კანდელაკი, ომარ შენგელია, რეზო რუხაძე, საშა კრავეიშვილი, მიშა კალანჯიანი, ვაჟა ახობაძე, ვალოდია კოხრეიძე, პავლე ნებიერიძე, შოთა ებრალიძე, ანაპოლისტე თავაძე, ვლასი და ომარ გოგიები, ილია ბარათელი, გურამ ნიშნიანიძე, ომარ ნიშნიანიძე და ილია ვეკუა. ეს ის ხალხია, რომლებმაც თავიანთი კეთილსინდისიერი შრომით სახელი და დიდება მოუტანეს ჩვენს ქალაქს. მადლიერი სამტრედიელები მათ არ დაივიწყებენ.

ჟორა რევიშვილი

## ნონა ნაცვლიშვილის გახსენება



შენი სიტყვებით გიგონებთ; "არ დამიზოგავს ძალა და ღონე, რომ ახალგაზრდობისათვის მესწავლებინა რუსთაველისა და გალაკტიონის ენა, ამემაღლებინა მათი მორალი, ზნეობა, ჩამომეყალიბებინა ღირსეულ მოქალაქეებად".

ოჯახი და სკოლა იყო შენი ცხოვრებისა და საქმიანობის მიზანი და შემართება. აკი ღირსეულად შეასრულე ეს ადამიანური მისია და მოღვაწეობა. ამაგიც დაგიფასდა, დიდი პატივისცემით გიგონებენ შენი ყოფილი მოსწავლეები, მეგობრები და მეზობლები.

ხელისუფლებამაც ღირსეულად დააფასა შენი შრომა და ღვაწლი. მინიჭებული გქონდა სახალხო განათლების წარჩინებულის საპატიო წოდება, უფროსი მასწავლებლისა და მასწავლებელი მეთოდისტის და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდებები.

ჩვენი რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა შორის პირველი დაჯილდოვდი დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი ჯილდოთი "ღირსების ორდენით".

შექმენი ღირსეული ქართული ოჯახი, აღზარდე ორი შვილი და სამი შვილიშვილი. არასოდეს დაგივიწყებთ. შენს საფლავს არ მოაკლდება ცრემლი, ყვავილები და წმინდა სანთელი.

შენი ოჯახი



## რობიზონ დვალის გახსენება

მოულოდნელი, თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება სითბოთი, სიკეთით, ვაჟკაცობით გამორჩეულო ჩვენო ძმაო.

ხანმოკლე აღმოჩნდა შენთვის ისედაც ხანმოკლე წუთისოფელი.

საოცრად გვაკლიხარ, გვიყვარხარ, ვილოცებთ შენი სულის უკვდავებისათვის. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ჩვენო ძმაო!

დები: დარეჯან და იამზე დვალები ოჯახებით



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ლამარა დუნდუას დის, ქალბატონი

**მალინა დუნდუა-შუბლაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ქალბატონ ლამარა დუნდუას დის, ქალბატონი

**მალინა დუნდუა-შუბლაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვაჟა ტერელაძე ოჯახით თანაუგრძნობს ქალბოტონ ლამარა დუნდუას დის

**მალინა დუნდუა-შუბლაძის**

გარდაცვალების გამო.

რაიონის ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი

**ვიქტორ ნიკურაძე**

და სამძიმარს უცხადებს ჭირისუფალს.



# სამტრედიელი კარატისტი გოგონების ტრადიციული წარმატება

2016 წლის 15-16 აპრილს, ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში (კიოკუშინკაი კარატე) 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის.

ჩემპიონატის ორგანიზატორი იყო "საქართველოს კიოკუშინკაი კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია" (პრეზიდენტი სენსეი ანზორ ჩუბინიძე). აღნიშნულ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტავა) კარატეს ჯგუფის წევრმა გოგონებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა მანანა მუქერიამ (მეორე საჯარო სკოლა), მეორე ადგილზე გავიდა მარიამ გოგიტაური (სოფ. ნოღის საჯარო სკოლა), ხოლო მესამე ადგილი დაიკავა მარიამ გახარიამ. სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით.


მარიამ გოგიტაური (მარჯვნივ), სენსეი მიხეილ ქანთარია, მანანა მუქერია, ზის მარიამ გახარია

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სენსეი მიხეილ ქანთარიას საზეიმოდ გადასცეს დიპლომი და ფასიანი საჩუქარი "საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს" განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

25 ივნისს, სამტრედიელი კარატისტი გოგონები მიწვეული არიან უნგრეთის ქალაქ ზენტეში მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო 7-8-9 ივლისს _ ყაზახეთის ქალაქ ასტანაში, ასევე _ მსოფლიო ჩემპიონატზე.


კიოკუშინ კარატე - დოს ფედერაციის პრეზიდენტი სენსეი ანზორ ჩუბინიძე სენსეი მიხეილ ქანთარიასთან ერთად

"სამტრედიის მაცნე"

# ელგუჯა ბალანჩივაძე საქართველოს ჩემპიონია

2016 წლის 25-26 მარტს საქართველოს დედაქალაქში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ჩემპიონატში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) თავისუფალ სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც მონაწილეობდა. ჩვენმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 2016 წლის საქართველოს ჩემპიონის ელგუჯა ბალანჩივაძის ასპარეზობა.



"სამტრედიის მაცნეს" საჭიდაო კლუბ "ფალავანის" წარმომადგენელი ვეფხია სტურუა ესაუბრა: "ეს საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი იყო. მასში საქართველოს ყველა კუთხის ნაკრები გუნდები ღებულობდნენ მონაწილეობას. ამ ჩემპიონატის გამარჯვებულმა მოიპოვა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის უფლება. რაც შეეხება სამტრედიელ სპორტსმენებს, გამოვყოფდი 2000 წელს დაბადებულ ელგუჯა ბალანჩივაძის ასპარეზობას, რომელიც მასზე ერთი წლით უფროსი ასაკის სპორტსმენებთან ასპარეზობდა პრესტიჟულ, მძიმე წონაში და ჩემპიონობა არავის დაუთმო. ელგუჯა უდავოდ პერსპექტიული სპორტსმენია, რომელსაც ახლო წარსულში არაერთი წარმატებით გაუხარებია გულშემატკივარი. შეგახსენებთ, რომ იგი გასული წლის საქართველოს პრიზიორია, ასევე, გასულ წელს ამირან მაისურაძის სახელობის საერთაშორისო და გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულია. არის მრავალი სხვა პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებულიც. ელგუჯას ასეთი წარმატება მისი მწვრთნელების ბიძინა მელაშვილისა და ზაზა არქანიას უდიდესი შრომის შედეგია. ამ მწვრთნელებს არაერთი ტიტულოვანი სპორტსმენი აღუზრდიათ. ვულოცავ ტურნირის გამარჯვებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს მშობლებს ამ წარმატებას".

ირაკლი მელაშვილი: "ჩვენი მოჭიდავეების წარმატებებით განებივრებული ვართ. მინდა მივულოცო ჩვენს სპორტსმენებს ეს წარმატება, ელგუჯა ბალანჩივაძეს ჩემპიონობა, ხოლო გია ულრელიძეს, (50 კგ. წონით კატეგორია) და გიორგი ჯიქიძეს (69 კგ. წონით კატეგორია) მესამე ადგილის მოპოვება. აქვე დავაანონსებ, რომ ელგუჯა 2016 წლის 19-22 ივლისს მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში, რომელიც შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გაიმართება და მსოფლიო პირველობაზე, რომელსაც 14-18 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს. ვუსურვებ ელგუჯას, ამ პრესტიჟულ ტურნირებზეც წარმატებით ეასპარეზოს".

ნათია ნაცვლიშვილი

**ბატონ ბეჟან გოგიას!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო ბეჟან! მრავალს დაესწარით. ყოველივე საუკეთესოს _ ოჯახურ კეთილდღეობას, პროფესიულ წარმატებებს გისურვებთ! უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი!

პატივისცემით "სამტრედიის მაცნე"



**ბატონ ბეჟან გოგიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

პატივისცემით ვეტერანთა რაიონული კავშირი

**იზა სანიკიძეს!**

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს! კეთილი სურვილების ასრულებას, ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებთ. ყოფილი ჟურნალისტები არ არსებობენ და გჯეროდეთ, პროფესიონალიზმი თავს არ დამალავს.

"სამტრედიის მაცნე"

**ალექსანდრე დვალიშვილს!**

ჩემო საყვარელო ლექსო ძია, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს, მომავალი წლები წარმატებული და მხიარულებით სავსე გქონოდეს და ეს ასეც იქნება, რადგანაც ველოდებით პატარა ვაჟკაც ბიძაშვილს, რაც ჩემს დედიკოს და ბებიკოს ძალიან გაახარებს და შეუფასებელ ნატვრას აუსრულებს. გკოცნით ბევრს, ძალიან გვიყვარხარ შენს ანასთან ერთად.

ანუკი ჯინჭარაძე



**ლექსო დვალიშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარე და იდღეგრძელე შენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი!

აჩი ფანცულაია

**ვულოცავთ!**
**ბატონ კორნელი ჩიხლაძეს**

ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს გილოცავთ დაბადების დღეს, 88 წლის შესრულებას.

ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ მრავალრიცხოვან კეთილისმსურველთა გასახარად, ჩვენო უფროსო კოლეგავ და მეგობარო.

იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"



**ია თავაძეს**

ოფეთის № 2 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ამავე სკოლის ყოფილ დირექტორს, მრავალი თაობის აღმზრდელს, ამაგდარ ქალბატონს, ია თავაძეს ვულოცავთ 80 წლის იუბილეს. ქალბატონი ია 55 წელი ერთგულად ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. ვუსურვებთ ქალბატონ იას ჯანის სიმრთელეს, სულიერ მხნეობას და დღეგრძელობას, რათა კვლავ დიდხანს იდგეს მომავალი თაობის სამსახურში.

მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო

**ბადრი ხვიჩიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი!

მეგობრები



**ბატონ რომან ბექაიას!**

სამტრედიის საპატიო მოქალაქეს, ღვაწლმოსილ ფოტოკორესპონდენტს გილოცავთ დაბადების დღეს, უფალი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

იხარეთ, იდღეგრძელეთ, ჩვენო რომან.

"სამტრედიის მაცნე"

იყიდება კეთილმოწყობილი სახლი ხეხილიანი ეზოთი 2,500 კვ. სოფელი ჭაგანი.

ფასი შეთანხმებით, საკონტაქტო ტელეფონი: 5 93 66 82 60, 557 20 80 44.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა